



# შინაარსი

უ ფ რ ნ ა ლ „ჯ ა ჯ ი ლ ი ს ა“.



I	ღუღუნა სალამურო! ლექსი შიო მღვიმელისა.	3.
II	გიშერამ იწყინა. ამბავი ტასი	5.
III	ცხვირ-პირ ჩაჩეჩვილირევოლუციონერები—ცქვიტისა	7.
IV	კოწო და მისი ამხანაგები. მწევარი ძალლი. აფრიკელი მწევარი ძალლი—ან. წერეთლისა.	15.
V	ნუგეში ლექსი—ვავა ვაჩაძისა	26.
VI	პატარა ციყვი ა. ფ—სი	28.
VII	ლიკლ-ტიკლის ეშმაკობა. ინგლისური ცხოვრებიდან	29.

---

VIII	სურათი: ძველი ოჯახი	33.
IX	წვიმა, ლექსი—შიო მღვიმელისა	34.
X	დედალი და იკარი. ბერძნული მითოლოგიდან—ალ—სი	35.
XI	სპარტაკი. (შემდეგი)—დავით კასრაძისა	39.
XII	კაპიტანი იანვარი (გაგრძელება)—ნ. შ—სა	45.
XIII	ხელოვნება და ხელობა ცხოველთა შორის—ა. ფალავა.	52.
XIV	ჩვენი დედა-მიწა, (შემდეგი)—ელ. ჭიჭინაძისა.	57.

---

მიმღება ხელის მოწერა

# ჯ ა ჯ ი ლ ი ს ა

1918 წლისა

ოცდა მეცხრე ზელიშვილი

28-40



საქმაწვილო ნახატებიანი  
შურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი განდი ყანაო!..

ი. დ.

აპრილი 1918 წ.



წელი 1918 წ. თბილისი სამსახური

## ღუღუნა საღამურო!

(გოგა და კუკური საათაშვილებს)

ღუღუნავ სალამურო,  
ხმა — ტკბილად რომ წერიალებ,  
როდესაც კი დაუკრავ  
გოგასაც აცქრიდლებ:

დაუკრავ და დაუკლის,  
ციბრუტივით ტრიალებს,  
მიწას ფეხს არ აკარებს  
ისე დაპროწიალებს.

ცელქისთვის სულ ერთია  
უგურებენ თუ არა,  
უთ კაი მელექურე  
ფეხს უსჭამს ჩქარი — ჩქარა.

და თუ თავის მმასავით

კოჭი გადუტრიალდა,  
მას რადა გააჩუმებს  
თუ ერთი აწრიალდა.

ტირის ხან გამოშუებით,  
ცრემლი ცრემლზე წერიალებს  
და თან გაჯავრებული  
წიგნებს აფოთიალებს.

და თუ ნახა სურათი  
რაც იმას გაასარებს,





ავიწუდება სლუკუნი  
კუპეუბებს და ხარხარებს.

გაერთო, დაავიწუდა,  
აღარ ელეგურება  
ომა ხუჭუჭა გუპურაც  
სხვა წიგნში იუურება.

ერთმანეთს არ უძლიან  
წიგნს ისე კითხულობენ,  
მართალია ჯერ ხნობით  
ასოებს ვერა სცნობენ,  
მაგრამ არა უჭირს-რა  
პატარები არიან,  
ასე რომ სალისობენ  
ბიძას ეს უხარიან.

შიო მღვიმელი



## გიშვირამ იფჟინა.



ემი გიშვირა მარდი, მალხაზი და  
მხიარული მაღლი იუო. ისე უდა-  
რდელათ დახტოდა მუდამ, რომ სუ-

ლელ მაღლათ კოჭლიდო.

ჩვენ ოჯახში უველას უყვარდა, მეტადრე ჩემ გა-  
დიას. მე რომ გავედი ქალაქიდან, ოურმე სულ მოწევ-  
ნილი იუო და როდესაც ისევ დაგბრუნდი და ცალკე  
ბინაზე ვცხოვორობდი, განვებ არ ვასწავლე ჩემი ბი-  
ნა, რადგან გადია კავრობდა, დაიწევის სეტიალსაო,  
თქვენ შევაწუხებთ და სადე ცხენის ქვეშ მოჰქებაო.

ჩემი ბინა მალიან შორის იუო. მაგრამ არ ვიცი  
რა სასწაულით მომავნო და თითქმის უოველ დილა  
გამოძეცხადებოდა. ალერსის და ემწვილებთან დროს  
გატარების შემდეგ დაბრუნდებოდა ისევ თავის ბინაზე-  
გადია კავრობდა, შფოთავდა, მალმი გაახვედა  
და უქან ისე მიჰევანდა.

ერთი შემთხვევის შემდეგ საქმე სხვანაირად და-  
ტრიალდა. ერთ დილით გიშვირამ ჩვეულებრივ შემოი-  
რბინა ჩემ ოთახში და საძაგელი უბედურება დაემარ-  
თა, გაგვიჩიდაზე თახი. ჩემი ქმარი გაჭავოდა,

წამოაყლო ხელი და ეზოში გადისროლა. ტბენით კი  
 რასაკვირველია არაფერი ეტკინა, მაგრამ დამსწრე  
 უძაწვილებმა გაცეცებულებმა მითხრეს, მაშინვე ფეხზე  
 წამოდგაო, ერთს წამს საუკედურით გადახედა თურმე  
 ჩემ ქმარს და ის იუ და ის, მას აქეთ აღარ მოსულა  
 ჩვენთან. ოცა მე თჯახში მივდიოდი ალერსით და  
 მიხვდებოდა, ფეხ ქვეშ გამიგორდებოდა, მაგრამ რა-  
 ღაც ნაღველი გამოიხატებოდა მის თვალებში. ჩემ  
 ქმარს კი არ ეკარებოდა. მერე კი მივხვდი რომ გი-  
 შერა თავს შეურაცეოფილათ სოფლიდა ჩემი ქმრის-  
 გან და მოვინდომე მათი შერიცება. ერთხელ მივედით  
 ერთათ და ოცა ვიშერამ დაინახა, რომ მე და ჩე-  
 მი ქმარი ვართ, ვახტა შორს და მეც არ მომეკარა.  
 მაშინ მივედი, ავიუვანე ხელში და მალით ჩაუსვი  
 ჩემ ქმარს კალთაში.

გიშერამ სისარულით წკმუტუნი დაიწეო და წარ-  
 მოიდგინუთ რომ მე ცრემლებიც კი შეგამნიე მას  
 თვალებზე.

მას აქეთ, ჩემ გადიას სამწუხაროთ მან დაიწეო  
 უოველ დღე ჩვენთან სიარული, სანამ ერთხელ აჭ-  
 ტომობილმა არ გაიტანა.

ტასლ.





## ცხვირ-პირ ჩაჩეჩქვილი რევოლუ- ციონისტები.



ოუსვენარი!.. ის კი სულ იმისი ბრალი იყო.  
ჯერ დილით, გააჭერება თუ არა თვალები,  
თვალებურმა სიცელქემ წამოუარა და მძინარეთ ისე-  
თი აშბავი დაბწია, რომ გაჯაბურებულმა მამამ რბილ  
ადგილას ერთი ორი მასულია და პერანგის აშარა  
გარედ გამოაგდო. მაგრამ განა ამით საქმეს დაის-  
ლიდა? თქვენც არც მომიკვდეთ, პირ იქით, შემოჰე-  
რა თუ არა დილის სუფთა ჟაერმა კოტო ისეთ ნაი-  
რად მოიმართა, ისეთი მოუსვენრობა იგრძნო, რომ  
აღარ იცოდა რა ექნა. სან ნახშირის ქასრს მიგარ-  
და, პირქეე დაამსო, ზედ წამოსკუბდა და სამხედრო



დოლიგით ჩხირებით რახა-რუხი აუტება; ხან სამზარეულოს კარებში კატას იმდენი უჩხვლიტინა, რომ კარებში კუდი მოაუოლა და საცოდავად ააჩხავდა; ხან საუვირად გადაქცეული ისეთ ღრიალს მოჰყვა, რომ შზარეულმა დიდი ცოცხით ძლიგს მოშორა; მაგრამ ვარ იმ მოშორებას: სამზარეულოდან გამოქცევის დროს მან ბოთლებით სავსე კალათს ხელი წამოჰყორა და ისეთი ლაწა—ლუწი ააექნა, რომ მთელი ოჯახი როგორც ერთი ადამიანი გულ კახეთქილი ფეხზე დააექნა. აქ, რახაკვირველია, ის მოხდა რისაც თვითონ ეშინოდა და რის გულისათვისაც გაძლიერა დააპირა, მაგრამ მამამ აქაც ისევ ხელთ იგდო და ხელ მეორედ ააწკმუტუნა.

— თვალი თქვენც დაგიდგებათ, მე თქვენთან აღარ მოგალა; მეც ლეოსავით წავალ და რაზმი ჩავეწერები. რახან ეგრეთ დევ იქ მომკლან და მე თქვენთან აღარ დაგბრუნდები.

ღრიალით შემოსძახა მამას და აიგნისაკენ გამოსწია. კარებში მდგომ ხალხს, დიდსა თუ პატარას ეგელას ამ წამს სიცილი წასკდათ, რადგან კოწოს პერანგის შემდეგი რაკი არ ეცვა უკანა ნაწილი სხეულისა ნახშირის კასრისაგან ისე სასაცილოთ ვამჟრეოდა, გეგონებოდათ განგებ აუხატ-ჩამოუხატიათო.

— ბიჭო! მარვალი მაინც ჩაიცვი, თორემ გიურანტალას თოფს არავინ განდობს—მისძახოდა ხარხარით დედა, მაგრამ კოწო რის თავისუფალი და ამაუი ბიჭი იუო, რომ იმათ სიცილისათვის ეური



ცხვირ-პირ ჩახეჩქილი რეგოლიუციონერები. ფილმის საზღვრებელი

ეპდო. მან ორთხ-მორთხით განაგრძნო გზა, მაგრამ შემოუხვიდა თუ არა აღნის შემაბაძით შემოუხვა-გლულ მხარეს და კუთხეში მიღებულ ეტლის მგზავს ბაჟჭის რეგოლიუციან საწოლს მოჰქონა თუ არა თვა-ლი—გული სულ სხვანარიად აუთამაშდა.

რეგოლიუციან ეტლზე მისი პატარა მმას წითელი ხალათი იყო გადაფენილი და იმას რომ ნიავი ოდნავ აფრიალებდა—მიზეზად ის შეიქმნა რომ აბლორია-ლებული კოწო უბალ დაწენარებულიერ და მთლათ შეცვლილიერ. მის სახეზე მსხვილი ცრემლები ისევ ისე აჩქარებით მოკორავდენ და ამავე წამს კი მისი პატია ტუჩები უბევ სისარულით იღიმებოდენ.

ის ერთ წამს საწოლი ეტლის წინ გაჩერდა, სელები უკან წაიღო და შეტის შეტად შეფიქრიანე-ბულმა გამურულ ადგილას დარბასლურად დაი-წეო; შემდეგ იმავე სისწრაფით ლოებზე ცრემლების მოსაწმენდათ მისებ-მოისება და და ახლა ცხვირ-პირ შემურულმა ამავათ წამოიძახა:

— დამაცადონ და რახან ეპრეა, დიდ რაზმს შე-გადგენ, უმფროსათ მე ვექნები და რასაც მინდა იმას ვიზამ. მაშინაც მეჩეუბებიან?!

ამ გარდაწევეტილებით ის რეგოლიუციან საწოლს მიუახლოვდა და გახარებულმა თვალიერება დაუწეო. ამ დროს დანარჩენ ბაჟჭებს სწრაფათ ჩაეცვათ და უკან გამოსდგომოდენ, რომ მმის ამბავი—სად წავი-დოდა, ან რას იზამდა—კარგად გაევოთ.

— ჩემო კოწო, უურები ძლიერ გეტკინა? — თანა-

გრძნობით ჩაეყითხა ჰატარა მისი და, ოოდესაც უვა-  
ლა ბავშები კოწოს უცებ თავს წაადგენ.

ორმა დაზე მოზრდილმა მმებმა კოწოს შემურულ  
ცხვირ-პირის დანახვაზე ხარხარი მორთეს და კოწო  
ისევ ააღელვეს.

— მეტკინა და ვერ მოვიფიქრე! ზოგი მაშინაც  
მცემონ, როცა მე ჯარის უმფროსი გავხდები! თქვენ  
ეი, რეზო და არჩილ, იცით რა გითხრათ, თქვენ  
ესლა იცინით, მაგრამ ჩემსავით რომ გაიზრდებით  
ეს იცოდეთ მამა ჩემი თქვენც ისევე გცემთ, როგორც  
მე მცემა და არ გირჩევნიანთ ესლავე ჩვენ თავს უშ-  
ველოთ?!

იცით რა გითხრათ, ესლა რაზმის უშელას იღე-  
ბენ; იქ ჰატარა ბიჭებიც კი დიდ საქმეს თურმე აკე-  
თებენ და ჯილდოსაც კი იღებენ. იმ დღეს, არ გახ-  
სოვთ, მამამ რომ გაზეთში წაიკითხა... კო, და ჩვენც  
ესე ვქნათ. ჩვენ აი, ოთხი არა ვართ... მე უმფროსი  
ვიქნები, ეს ჩვენი ავტომატილი იქნება. თქვენ შიგ  
ჩასხედით, თოვები ხელში დაიჭირეთ; მართალია ჩვენი  
თოვები ხისანი არან, მაგრამ იქ, ბრძოლის ველ-  
ზე რომ მიგალოთ თუ გინდ ჸარბაზნებსაც მოგვცემენ.  
მე თქვენ წაგიუვანთ და უბან-უბან სიმღერით რომ  
გაგალთ, იქნებ უბნის ბიჭები ათასობით თავს დაგ-  
ვეხვენ და სისარულით შემოგვიერთდენ. მე ჯარს  
მწერივათ დავაწეობ, თქვენ მზევრავ შეკრიკებივით  
ეგრე ეტლით წაგიუვანთ და მაშინ ნახეთ რა დიდი  
ამბით დაგვიხვდებიან!



რეზო, ან შენ არჩილ, აბა ჩუმად წადით და ჩე-  
მი ტანისამოსი და ფეხსაცმელები მომიტანეთ, მაგ-  
რამ ჩუმად კი რომ მამამ არ დაგინახოს. ჩემს სა-  
წოლ ქვემ ჩემი თოფი ძეგს და ისიც წამოიღე. შენ  
კი არჩილ სამხარეულოდგან დასაგველ ცოცხს ტარი-  
მოაძრე, მხარეულის ძეგლი ხანჯალი ტახტზე ფარ-  
დაქვეშ არის ამოდებული და ისიც მარდით გამოა-  
ცუხცუხე. აბა ჩქარა, მაგრამ ფრთხილზდ კი, რომ  
არავინ დაგინახოთ გესმის, ბიჭო!

დაფაცურებით გასცა ბრძანება კოწომ და თან-  
ატლი კიბისაკენ გამოაგორა, შეი ჰატარა ქეთო მსარ  
აკრული ჩასუა, ვითომ გენერალი ბრძანდებოდა და  
თოფის მაგიერად გაუფორტნავი ჯოხი დააჭირინა და  
თვითონაც სამხარეულოსაკენ გაემართა.

მალე სამიგე ბაჟშები ერთად მოცვინდენ და რაც  
საჭირო იყო უველაფერი მოიტანეს. კოწოს მასც  
ვერ მოეთმინა, ტანისამოსი ჩაეცება თუ არა ასლად  
დადგმულ სამოვრისათვის ნახშირის გასაღვიდებელი  
მილი მოეგლიჯა და სისარულით განუმარტა:

— აა, ბიჭებო, ეს ჩვენი ზარბაზანი იქნება.  
შენ შეი რომ ჩაჯდები, ბაირადსა და თოფს წინ  
დაიჭერ, რეზო კი ამ მილს ისე მოიმარჯვებს, რომ  
თავ გადმოეოფილი ნამდვილ ზარბაზანს ეძგზავსება  
მე კი მანამ ბაირადს გაჟმართავ — ბაჟშების სიხა-  
რულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც არჩილში ცო-  
ცხის ტარზე დამაგრებული წითელი ბაირადი ხელ-  
ში დაიჭირა; მისმა ფირუზის მეზავსმა თვალებმა



იმ წამს ისეთი გამომეტეველება მიღეს, თითქოს  
მართლა კმირთა-კმირი უოფილიყოს. ახლა ნახში-  
რიან მილით რეზო რომ გაემზადა, მთელ რაზმს აღ-  
ტაცების ქრუანტელმა დაურბინა. გენერალი ქეთო სი-  
ხარულით ისეთას ცმუკავდა და ისეთი წიკვინი ას-  
ტესა რომ კოწომ ეტლიდან ერთ წამს ისევ მირს  
გადმოაბრძანა და ძლივს დააჩემა.

— ჩუმად, გოგო, რა გაწრიპინებს, ემანდ რომ  
გაიგონ და გამოვიდნენ, მერე ხომ დავიღუპეთ. დას-  
წევლის ღმერთმა, ეს გოგოები ხომ საქმეში არ  
არიან გასარევნი... აბა ახლა ეს ჩვენი დალოცვილი  
ავტომობილი მირს ჩაგირგანოთ თქვენ უკნიდან დაი-  
ჭირეთ და მე კი წინ გაუძღვები, რომ კიბეზე ძლი-  
ერ არ დაგვიგორდეს... ჰო, ეგრე... ნელა... ნელა,  
მარცხნივ, ბიჭო, თორებ მოვაჭირებს გამოედება...  
ნელა, ნელა... ჰო, ეეოფა... აი ეხლა ამ ხეივანზე  
ჩუმად გავიაროთ, ეზოს გარედ გავიდეთ მერე შიგ  
ჩასხედით, როგორც გითხარით.. მე ავტამობილს  
გავაგორებ და თქვენ კი ”გასწით წინ, წინ, წინ“  
რომ სიმღერაა, ის შემოსძახეთ. რასაკვირველია კო-  
წოს ბრძანება და განკარგულება სისრულეში იქმნა  
მოვეანილი, მაგრამ დიდი ვარ-ვაგლახი კი გამოია-  
რეს, სანამ ისინი ეზოდან თავს დაახწევდენ. ბავ-  
შებს კისრის მარღვები კინაღამ დაწევდათ, სანამ დარ-  
წმუნდებოდენ, რომ მათ არავინ დაინახავდა. გზა  
და გზა როგორც დახელოვნებული ქურდები თვალე-  
ბს ისე აცეცებდენ, მაგრამ გაჭვევს თუ არა ალავა-

ფის გარეთ თავი აქ ისეთი ქრიამული ასტეხეს, რომ  
მთელი უბნის ბავშები კალებე დაბეჭნეს. დიდი ამ-  
ბითა და ხმაურობით დაძირა რევოლუციონერი ჯა-  
რი ადგილიდან. იმ დიდმა უიუნამ და შეისევანმა-  
მაღლებიც კი აახმაურა.

— გაუმარჯოს ჩვენ წითელ დოოშას, გაუმარ-  
ჯოს თავისუფლებას!.. ურაა!.. უვიროდენ ბავშები.  
უბნის ბავშებმა ამ ალიაქოთზე ზოგმა პირის ბანას-  
დაბნება თავი და სველი ხელ-პირით მოცვიდენ,  
ზოგი პირდაპირ ლოკინდან წამომერა და პერანგის  
ამარა გარედ გამოვარდა; ერთი სიტყვით კოწოს გარ-  
შემო მალე დიდმა რევოლუციონერმა ძალამ მოიგა-  
რა თავი და დიდი ამბავიც დატრიალებოდა, რომ  
ერთ უხეირო შემთხვევას კოწო და მისი ამალა ისე  
უღმრთოდ არ შეერცხვინა და სასაცილოდ არ გაეხადა.

ის კი სულ იმ ოხრად დასარჩენ ოდრო-ხოდრო  
ქუჩას ბრალი იყო, თორებ აბა სხვა რა უნდა მომხ-  
დარიეო. წარმოიდგინეთ, ის დიდებული და ნახევ-  
რად ტიტველა რაზმი დაძირა თუ არა და ზეიძით  
მეორე ქუჩისაკენ შეუხვია, იქვე ერთი სახლის კუთხე-  
ზე აჩქარებული ეტლი დიდ ქვას დაეჯახა, ჯერ ამა-  
ღლდა, შემდეგ უცებ გადიზნიქა და ჩვენი მგზავრე-  
ბით ერთად გვერდზე კი გადაკოტრიალდა.

შენი მტერი რომ იქ ამბავი დატრიალდა... უიუნი  
უფრო გამლიერდა, მაგრამ ამ უიუნს ზედ ტირილიც  
დაერთო და ან რა გასაკვირველი იყო? არც ერთი  
შიგ მჯდომი რევოლუციონერი დაუშავებლად არ გა-



ჩარჩა. ცულ გახეთქილმა კოწომ რომ ეტლი ააუენა და არჩილის დასის სლიანებულ ცხვირაში შეხედა თვითონაც ტირილი მორთო და მმას ვედრებით მიეხვდა:

— შენ ვენაცვალე, არჩილ, სახლში ნუ წახვალ. სისხლს აქ მოგბან, ღმერთმანი არა ვიშაგს რა. ნუ წახვალ, შენი ჭირიმე, თორებ მამა ძლიერ გამაჯავრდება.

მაგრამ სანამ იმას დააშოშინებდა, თვეშლით გვერდ აკრული გენერალი ქეთო ბდრიალით წინ ისეთს გარდოდა, რომ ქვეითა საცვალი ორ ტოტათ მირს ვარდებოდა და იმასაც კი აღარა ვრმნობდა.

ქეთოს თან მოჰყვენ ნიკან წაუვლეფილი რეზო და უარესად აღრიალებული არჩილი. დედ-მამის დანახვაზე ბავშები უარესად აბლრიალდენ და დიდი შესახანი ასტერეს. კოწო კი, ამ ვარ-ვაგლასის აპ-ტეხი კოწოც, განმარტოვებით ალაუაფის კარებში გაჩერებულიერ და შემინებული ისც იქა ბდრიალებდა ტიროდა და დიდათ სწუხდა, მაგრამ რა გამოვიდა, ის ამბავი პირველი ხომ არ აურ და დამიჯვრეთ, სანამ დაღამდებოდა მოუსვენარი კოწო ვინ იცის რამდენ რამეს არ მოივონებდა და გაბრიუებულ შაწია და მმებს რამდენჯერ კისერს მოატეხინებდა. აი როგორც გუშინ წინ მოხდა... მაგრამ ამაზე შემდეგ მოგახსენებთ.



## კოშო და მისი ამჟანაგები.

მწევარი ძაღლი.



რთხელ კოშოს მამას ეს-  
ტუმრა მეზობელი, თან მო-  
იუვანა ორი ძაღლი. უმაწვილს  
ამნირი ჯინძის ძაღლი ჯერ  
არ ენახა. ისინი მაღალი ტა-  
ნისა იუვენ, წვრილი დონი-  
ერი ფეხები ჭიონდათ, გულ-  
მყერდი განიერი, მუცელი  
ზედ შემხმარი, თითქოს რამდენიმე დღე არა ეჭამათ  
რა კუდი გრძლათ ჩამოშეებული ჭიონდათ და გრძე-  
ლი ბეწვით შემოსილი. მაგრამ ეგელაზე გასაოცარი  
მათი დინგი იუო: ისეთი წვეტიანი, გრძელი, თით-  
ქოს ვინმებ განკებ გამოსწიათ სტუმარი ცხენით  
მოვიდა, ძაღლები უკან მოსდევდენ.

ნერონმა და უურშამ დაინახეს თუ არა უცხოები  
მაშინვე მიგარდენ ძაღლებს, მოჰუვენ უფას, ზედ ას-  
ტებოდენ და ისეთი ღრიანცელი და ჩხუბი ასტეხეს



რომ ცხენოსანმა მათრახით ძლიერ—ძლიობით გააძლიერა.

სტუმარი სახლში შევიდა და მაღლები თან შეიუვანა. კოწოც თან შეესა. ის ეურადღებით შინჯავდა ამ უნახავ მაღლებს.

შენ ჩემ მაღლებს შესცერი? ჰყითხა სტუმარმა ხრინწიანი ხმით და გაჭარხლებული სახით—გრი მაღლები არიან, მამაშენს, სანამ უცოლო იეო, ჰყავდა ამ ჯინშის მაღლები. მერე რა საუცხოვო მაღლები იუვენ! სტუმარი შეჭევა მასპინძელს პურისაჭმელ მელ ოთახში, დასახლის მიესალმა, შეუდგენ საუზემეს. მას თავი მოჰქონდა თავისი მაღლებით და ბევრს იკვებოდა.

— ტეუილათ ადარა გეაგო თქვენ მწევრები. უთხრა მან კოწოს მამას, ნადირობა სწორეთ გეთილმობილური საქმეა.

— ეგ მწევარი მაღლები მეჯავრება, წამოიძახა დიასახლისმა, ქათმები ამომიწევიტეს.

— მწევარი მაღლებით ნადირობა—მდიდარი ხალხის ხელობაა, სთქვა სახლის პატრონმა, მაღლების შენახვა ძვირათ ჯდება და აღარც სანადიროთ მცალიან.

როდესაც მათ საუზე, გაათავეს, სტუმარმა წახსალისა კოწოს მამა, რომ ცხენით გაჭეოლოდა მას დაენახა როგორ დარბოდენ მისი მწევრები. დიასახლისიც წახსალისდა და დააპირა კოწოც თან წაეკანა.

დედილო, ჰყითხა კოწომ,—რატომ არ გივევარს მწევრი მაღლები? შეხედე რა ლამაზები არიან.

— მე მიუვარს შინაური ფრინველების გაშენება ქათმების, წიწილების და სხვა. მწევარ მაღლებს კი არ შეუძლიან არ მოიტაცოს უკელაფერი, რასაც ცოცხალს, მოძრავს დაინახავენ. ადამიანი ვერც გადააჩვევს, რადგან ეგ მაგათ ჯინშით მოსდევთ, ეგნი არც იმდენი ჭკუის პატრონი არიან, რომ გაარჩიოს გარეული — შინაურ პირუტყვს. გარდა ამისა საშინელი ქურდები არიან. ისინი არც პატრონის ერთგულნი არიან, ხახლის დარაჯობა არ შეუძლიანთ, არაუერმი გამოსაჟენი არ არიან, გარდა ნადირობისა. ისეთი მონადირე ძალლი, როგორიც არის დიანქა, სულ სხვა. ეგნი ჭკვიანი არიან, კეთილშობილნი, პატრონის ერთგულნი. მათი ნადირობაც სულ სხვა. როდესაც დიანქა ეძებს ნადირს, უფალთვალებს ფრინველს, პოულობს მას ბუჩქებმი — ადამიანისავით მოვიქრებით იქცევა. მწევარი მაღლი კი არაფერს დასდევს. მას უნდა მხოლოთ ნიძანში ამოღებულს მოეწიოს, მოიტაცოს — სხვა არაფერი. ზოგ ქვეუნებმი კი მეძებარ მაღლებს ძალიან აფასებენ. ეს ის ქვეუნებია, სადაც იგი ასახოდიებს ხალხს. როდესაც ხახლში დავბრუნდებით, გაამბობ უკელაფერს, ახლა კი ვუუროთ. სედაც, მგონი კურდღელი მორბის.

ამათ ჩასაჯომი მაღლა ბეგზე მიაუენეს. ქსემოთ მოჩანდა ადგილი მსხვილი ღერობანი ბალახით ე. ი. წინა წლის მოუთიბავი და უკვე გამსმარი ბალახი იქო. ამ ბალახებიდან გამოვარდა კურდღელი, უკუები ზურგზე მიეკრა და ისე მიექანებოდა. მას ერთი მწევა-

რი მისდევდა. კურდღელი სისტრაფით მირბოდა, მა-  
ღლი უფრო და უფრო ეწეოდა, რაც უფრო დოლ  
გადიოდა თანდათან მათ შორის მანძილი აღარ რჩე-  
ბოდა. აი მაღლი სულ ასლოს არის, მიეწია კურ-  
დღელს, დინგი გამძირა, ეს არი უნდა მოიტაცოს...

ერთბაშათ კურდღელმა ისკუპა, გახტა გვერდზე,  
მერე ისევ უკანვე ჯადიქდა. მაღლმა კურდღელი წინ  
ვედარ დაინახა, მაგრამ ვერც ერთბაშათ შედგა, წარ-  
ქდა, მერე წამოდგა, აქეთ-იქით გაიცემოდა...

კურდღელი კი მიექანება შორის, ასე ასორმოც  
ნაბიჯზეა წინ. მაღლი ბირს იბრუნებს, ღონეს იკრუ-  
ფს. რა ლამაზია მექებარი, როდესაც ასე დახტის! რა  
სუბუქი და ჩქარი მოძრაობა აქვს! აი, ხელ ასლათ  
ეწევა მწევარი კურდღელს, სულ ასლოს არის მას-  
თან... კურდღელი გახტა გვერდზე... მაღლს ხელ  
ასლათ გაუსხლტდა დავლა, მაღლი ბრაზობს, ისევ  
მირბის... კოწო ხარხარებს, დედასაც ეცინება. ხედავთ  
როგორ მარჯვეთ ატეუებს კურდღელი მაღლს.

უოჩაღ, კურდღელო, უოჩაღ, ნაცრისფერ ქათა-  
ბიანო! უვირის აღტაცებით კოწო. აგრე უნდა მაგ  
გრძელ დინგიანს, ხაუეავი ცხვირი მიწაში. მიმალე  
მალე ტუში, კურდღელო! დედილო, ის ხომ მაგას  
ვეღარ დაიჭერს?

მავრამ ამ დოლს მეორე მექებარი კურდღელს  
გზაზე დაუხვდა. ასე რომ დასაჭერათ ერთი მაღლი  
უკანიდან მისდეგს, მეორე გვერდით. კურდღელი ჯერ  
ვერ ხედავს მეორე მტერს, მერე მეამჩნევს, გადაუხვდა



გს გვის, მაგრამ ისე სისწოაფით ვეღარ. მეორე მა-  
რლი მცენევა უკანიდან, ამ დოოს პირველი მეძებარიც  
მიეძეველება. მოჩანს მხოლოთ ოოგორ მაღლები და  
კურდღელი გორაობენ მირს — მნელი გასარჩევდა რა  
ხდება. მხოლოთ საბრალო კურდღლის წრიალი მოის-  
მის.

კოწო პირს იპოუნებს, ფერი მისდის.

— დედილო, ამბობს კოწო, არ მინდა მავისი  
ნახვა, უბედური კურდღელი რა საბრალოთ წრია-  
ლებს; წავიდეთ აქვთან, დედილო.

დედასაც ეცოდება, რომ კურდღელი დაიჭირეს  
და სახქაროთ ბრუნდებიან სახლში.

— მე ჩემ დღეში კურდღლებზე არ ვინადირებ,  
ამბობს კოწო. — მცლებზე სულ სხვაა, ისინი ბორო-  
ტები არიან, ჩვენ საქონელს სჭამენ, კურდღლები კი  
ცოდონია არიან. რა ნაირათ მინდოდა რომ ტექში  
მიმალულიერ; რა კარგი იქნებოდა ჩვენთან რომ გა-  
მოქცეულიერ და კალთაში ჩამხტომოდა! რანაირათ  
დამალავდი, მაღლები ვერც მონახავდენ იმას.

### აფრიკელი მწევარი ძალლი.

აფრიკის მცხოვრებლები, რომელნიც უმეტესათ  
შისძევენ ნადირობას და საქონლის მოშენებას, მა-  
ლიან აფასებენ და უჟვარო მწევარი მაღლი. იქაური  
მაღლი უფრო გონიერი და სასარგებლოა, ვიდრე  
ჩვენი. იმან ზედმიწევნით იცის კარმიდამოს დარა-  
ჯობა და გარეულ პირუტეს ასლოს არ მიაგრძებს.



აფრიკაში ბევრი გარეული პირუტეშებია და  
ძცხოვრებლები დიდ გაჭირებაში იქნებოდენ, ორა  
არა ჸეოლოგიათ სანდო ძცველი—მწევარი ძაღლი..  
სოფლებში, ოომელნიც ტექებთან და გავერანებულ  
ადგილებთან ახლოს მდებარეობენ, მწევარ ძაღლებს  
ბევრ-ბევრს ინახაჲნ, თითქმის უკველ ეზოში სამ  
და ოთხზე მეტი ჰეზო, ერთი მეორეზე ულამაზესი.  
ამათ დღით მძვიდობიანათ სძინავთ, ძაგრაძ დაღაძ-  
დება თუ არა, ძაღლები ქოხების სახურავზე ადან  
და იქიდან ათვალიერებენ გარეული პირუტეში ხომ  
არ უახლოვდება მათ კარმიდამოს. და თუ ოომე-  
ლიმებ შეამჩნა ლეოპარდი ან აფორი, ან გარეუ-  
ლი ძაღლების ხროვა, მოჰქევებიან ღმურლს და ხრი-  
ალით ჩამოცვივდებიან ქოხის სახურავიდან. მათი  
უეფა-ღმურლი მთელ სოფელს აურევებს. ძაბინვე სხვა  
ძაღლებიც თავს მოიურიან და თითქოს ერთმანერთში  
პირობას სდებენო, ისე გაექანებიან მტრის დასახვე-  
დოათ. იშვიათი ნადირი გაუძლებს ამ გვარ აუარე-  
ბელ ჯარს. ესენი მხოლოდ ლომს არ შეებრძოლე-  
ბიან, ეძინიათ მისი.

გარდა კარმიდამოს შენახვისა მწევრებს სარკებ-  
ლობა მოაქვთ აფრიკის ხალხისთვის იმითი, რომ  
ნანადირევით კეებამს იმათ: ანტილოპათ, კურდღლე-  
ბით, ფრინველ საჟათით და სხვა მოდიდო ფრინვ-  
ლებით. დიდ დღესასწაულათ მიაჩნიათ ხალხსაც და  
ძაღლებსაც აფრიკელების ნადირობის დღე. მწევრებს  
ძაღლიან უკვართ გარეული პირუტევების ადგენება და

როგორც კი შეაძნევენ სამზადის ნადირობისათვის  
მოჰყვებიან წკმუტუნს, სიღბილს, ხრიალს და მათი  
დამშვიდება მნელია. ნადირობა რომ კარგი გამო-  
გიდეს, ნადავლი რომ ბლობრი იშოვონ უნდა უსა-  
ოუთდ ნადირობის ღროს წესი და სიჩუმე სუფევდეს.

ერთი ეკობიელი მოგზაური რამდენიმე წლის  
განმავლობაში ცხოვრობდა სოფელ მელბეს, აფრიკის  
შეაგულ ადგილას და აი როგორ ასწერს იქაურ  
ნადირობას:

”ერთხელ დილა ადრიან მოისმა ნადარის ხმა.  
სოფელის უფროსი ხალხს სანადიროთ აკროვებდა.  
მხარეული წკმუტუნით და უეფით გამორბოდენ ეზო-  
ებიდან მაღლები და უახლოვდებოდენ იმ კაცს, რო-  
მელიც ნადარის ახმაურობდა. ისინი ამის გარშემო  
დახტოდენ, წინ და უკან უცემოდენ, ერთმანერთს  
უდრინავდენ, ცდილობდენ მონადირესთან ახლოს  
მდგარიუვენ.

ეზოებიდან შებებით და თოვებით ხალხი გამო-  
დიოდა. ისინი უახლოვდებოდენ მთავარ მონადირეს,  
პოულობდენ თავიანთ მაღლებს, უკეთებდენ საუელას,  
მის რგოლში გაუერიდენ ბაწარს და ბაწრის ორივე  
წევრს ხელში იჭერდენ, მნელი იუო ამ მაღლების  
შეკავება, ისე ესწრაფოდენ სანადიროთ გასვლას.  
დახტოდენ, წკმუტუნებდენ, ლამობდენ ბაწრიდინ თა-  
ვის დახწევას. ბოლოს როგორც იუო მონადირეებმა  
თავ თავიანთი მაღლები წაიკავეს მახლობელ ტუ-  
ში. მწევრები ჩაჩუმდენ, თითქოს ესმოდათ, რომ ნა-

დირობის დროს ხმაურობა არ იგარებს. მონადირეები დიდ წრეს შეჭრამდენ, მერე ნიმანზე ერთბაშათ ეველა ძაღლებს აუმჯებდენ. ისინი ძოედებოდენ ბუჩქებს, დაიწეუბდენ ნადირის მონახვას და ზიდვას. ზოგჯერ კამოაგდებდენ ნადირს და მონადირენი თავიანთი შებებით ჰქლამდენ. ოდეგსაც ნანადირევს სამუოფს მოაგროვებდენ, მონადირენი თავიანთ ძაღლებს წაშოივანდენ და ნადავლით სახლში დაბრუნდებოდენ. იმათ მოჭქონდათ ხოლმე ბლობათ სავათები, გარეული ქათმები, ხოხბები, ანტილოპები, კურდღლები და სხვა.

სახლში დარჩენილები სისარულით და კიუინით დაუხვდებოდენ მონადირეებს. დედკაცები მაშინვე დაიწეუბენ ნანადირევის გაბდოვნას და შეწვას. მთელი სოფელი შეექცევა ხოლმე ნადავლს, რამდენიც კი შეუძლიანთ სჭამენ და ბევრიც რჩებათ შემდეგ ნადირობამდის. რასაკვირველია, ძაღლებსაც კაი ლუკმა ერგებათ.

არაბებსაც, რომელნიც ნადირობას და საქონლის მოშენებას მისდევენ, უყვართ მწევარი ძაღლები, როგორც ერთგული მეგობრები—უმუტესათაც—როგორც საკუთარი შვილი.

როდესაც მწევარი ძაღლები დაჭურიან ლებებს, არაბის კარავში სწორეო დღესასწაულია. პატრონები დიდი გულმოდვინებით უვლიან ლეკვებს. თუ ძაღლს ცორა რჩე აქეს, დედა-კაცები თავიანთ შემუს აწოვებენ ლეკვებს, როგორც საკუთარ შვილს. ლეკვების



დედას, მეტადრე თუ კარგი ჯინშისაა, მეზობლები შემოუტანეს საჩუქრათ გემრიელ საჭმელებს. მეზობლები მათ ჰატრონს სოხოვენ საჩუქრათ ლეპვს. უკალა მოწადინებ შეიძინოს კაი ჯინშის ლეპვი. ჰატრონი არ იმეტებს და შვიდ ღდებუ ადრე არავის აძლევს, უნდა საუკეთესო თავისთვის დაინარჩუნოს.

მერე როგორ უნდა შეატყოს, რომელია საუკეთესო? არაბები ტეობულობენ ამ ნიშნით: არაბი ამჩნევს იმ ლეპვს, რომელიც მაღლა აცოცდება და სხვებს ზედ დააწვება, მაშინვე ის ამისთანა ლეპბს ქვემოთ ჩამოსვამს. თუ ლეპვი აცოცდება და რაძენა ჯერმე სხვებს ზედ დააწვება — არაბს მიაჩნია ის საუკეთესო ლეპვათ. იგი უსათუოთ გამბედავი და მარჯვე იქნება. იმას თავისთვის დაიტოვებს და სხვებს ნათესავებს და მეზობლებს აჩუქებს.

ორმოცი დღის შემდეგ ლეპვებს მოაშორებუნ დედას. ლეპვი ცხოვრობს არაბის კარავში. მის შვილთან ერთად სმინავს, ერთად თამაშობენ, ერთ კერძიდან სჭამენ! როდესაც ლეპვი მოიზრდება, უმაწვილი მოჟეგრის ცოცხალ თრითინას და ასწავლის მის დაჭერას, ლეპვი მიხვდება რაშია საქმე და სწავლობს ჰატარა ცხოველებზე ნადირობას.

მერე მაღლს მიუმვებენ კურდღლელზე. იმაზე ნადირობა მნელია, რაღვან ის ისეთი სულელი არ არის, როგორც უველას ჰეგნია. როდესაც მის აუღევნებიან, გაიძვერაობას იჩენს და ხერხიანითაც ატეუგებს ძაღლებს. ამიტომაც მაღლებს მოუსევენ უფრო ანტილოპებზე და ქურციკებზე.



აფრიკელების დოო სულ იმათ წვრთნაში გადის, მთელი სკოლა უნდა გაიაროს ამ მწევრებმა. მათი ნამდვილი სკოლა ტუ და მინდოო-ველია. წიგნები მისი სხვა და სხვა ნადირია, რომელთა ზე—ჩვეულებებს ხედავს, ესმის მათი ხმები და უნოსვით ტეობულობს მორიდანვე სხვა და სხვა ნადირს. აფრიკის მწევარს უფრო კარგი გრძნობა აქვს. იმან იცის რომელ ნადირს როგორ მიუდგეს, როგორ ჩაიგდოს. იმას ახსომს ნადირის სხვა და სხვა ჩვეულებები, არ ივიწევებს მის ცბიერობას.

როდესაც ძაღლი ჟედმეტი თვისა შესრულდება— ის უკვე ისე მოზრდილია, რომ ეოველგვარ ნადირობას ესწრება. მას მაშინვე ძალიან შეუვარდება ნადირობა. ანტილოპების ჯოგს რომ დაინახავს—თრთის, სიხარულით კანკალებს და მოუთმენელი ვედრებით შესცემის ჰატრონს. ჰატრონი კი შეტრფის თავის ერთგულ ძაღლს და ღიმილით ეუბნება:

— შენ ერ, არ გაბედო და არა თქვა, რომ არა ხედავ იმათ. მე ვიცი შენი ამბავი... კარგი, აგისრულებ შენ სურვილს.

წელით უსველებს ძაღლს ბუცელს, ბეჭებს, რომ ძალიან არ დასცხეს და ისე უძვებს ნადირზე. ძაღლი სიხარულის წეტულით ბურდულივით გარბის, არჩევს ჯოგიდან საუკეთესო სალუკმოს; როგორც რომ დაიჭერს ქურციგს ან სხვა ნადირს მიურბეინებს ჰატრონს.—ისიც კაი გემრიელ ნაჭრებს არგუნებს ძაღლს. ძაღლი, თუ არა საუკეთესო ლუკმებს, არც



მოჰკიდებს პირს, რადგან კერძი ბავშვით წაქეზებულია.

მართლაც არაბის მწევარი მაღლი მაღლან განებიერებულია. ის არ მიეკარება საჭმელს, თუ საინი ჭუჭეიანია და არც რძეს დალევს თუ დაინახა რომ შეგ ვინმებ თითო ჩაჭეო. როდესაც სხვა მაღლები მიწაზე კიდიან და გადაგდებული ძვლებით იკვებებიან — მწევარი მაღლი, არაბის საყვარელია. მის კარავაში, რბილ ხალიხზე პატრონის გვერდით, ძვლებავებში განცხომაშია. მას ხურავენ საბნებს, რომ არ ძესცივდეს. თუ მოღუმულია — ცდილობენ გააროონ. რთამენ — სადაფის ეელსაბამს უკეთებენ. მწევარი მაღლი სტუმროთაც დაჭეავთ და როგორც პატრონს იმასაც ისე უძასხინ ძლდებიან.

როდესაც პატრონი თავის საქმეზე მიდის და არ მიჰეავს მაღლი — ის კურებს ჩამოჰქორის — მოწევნილია. დაბრუნების დროს მაღლი სისარულით შეახტება ხოლმე პატრონის უნაგირზე მისაალერსუბლათ. არა ბერ ალერსით ეუბნება:

— მეგობარო, მაპატრი რომ მიგატოვე, საჭირო საქმე მქონდა... ახლა სულ შენთან ვიქნები. მომბეჭდა ინდის ხურმის ჭამა, მომენატრა ხორცი. შენ, რასაკვირველია, მომიტან ნანადირევს.


არაბი რომ გაემზაგრება, თან მიაქს პატრანა კუპრიელი წელით და გამხმარი ინდის ხურმა.

ჭიშიან მაღლს ესმის პატრონის სიტყვები. შესცეკრის, კუდს აქიცინებს, თითქოს ამბობს:

”ვიცი, ვიცი რომ ინდის ხურმა მოგბეზრდა. მერე რაშია საქმე? წავიდეთ სანადიროთ, ნახავ რა ნადირსაც მოვირბეინებ, მაღლობელი დამირჩები“

(შემდეგი იქნება)

ა. წერეთლისა.



## ნ უ გ ე მ ი.



რო სის ქვეშ იჯდა პატარა მწევემსი  
და ფიქრებ ული, დაღონებ ული;  
ხელში ეჭირა მას სალამური  
და ძორს გასცეკრდა სევდით  
მოცული.

აგონდებოდა პატარა მწევემსისა  
კეთილი მამა, ოში მოკლული;  
აგონდებოდა მმობლის ალერსი  
უკვე გამჭრალი, დავიწყებ ული.

რა ჭენას საბრალომ! დედაც ავად ჭეავს,  
ვინ უპატრონოს სახლს დაობლებ ულს;  
ვიღა მიხედავს ეზო გარემოს  
და გოთის ანაბარად აწ დატოვებ ულს?  
პატარა მწევემსი ცრემლათ იღვრება,  
გასცეკრის არეს ძავად მოცულ სა,  
და ფიქრში წასულს, მოგონებითა

მწარე ნაღველი აწება გულსა.  
 სიჩუმე იყო, სდუმდა ბუნება.—  
 ჩასძინებოდა მოქანცულ მწევებსა,—  
 უკცრად შეკრთა, თითქოს სიზმარში  
 მან თვალი მოჰკრა მოსულ მამდსა!  
 „შვილო, რად სტირი, რად სწუხარ აგრე,  
 რატომ დედაშენს არ ანუგემებ?  
 უკრს რად არ აუგდებ ძენ ცხვრის ფარასა;  
 რად მისცემისარ დაღონებასა?“  
 პატარა მწევებსა სახე უღიძის  
 შვირფას მამას რომ ჭედავს სიზმარში.  
 და ეხვეწება მამას ბავშურად:  
 „მამი, ნუ წახვალ, წამოდი სახლში!“  
 ჯერ კვლავ ეძინა საბრალო ბავშს, როს  
 მწევები ბიჭები თავს დასდგომიან  
 „რას გძინავს, ბიჭო, არა გრცხვენიან  
 ადექი ჩქარა“—ეუბნებან.  
 საბრალო მწევები მარდათ წამოხტა  
 მოჰკრიფა ცხვარი ტევები შესული,  
 მამის სიტევებით ვაქე ზებული  
 იმედს არ ჰქარგავს დაობლებული!

ვავა ვაჩაძე

## ଅନ୍ତରୀଳା ପରିଷଦ.



କେତୋଟା ପାଦରୀଙ୍କ ପାଦରୀଙ୍କ ପାଦରୀଙ୍କ  
ମା ଶାଖାକୁଣ୍ଡି, ଦେଖିବା କେ-  
ରୁହା. ଶାଖା ଶାଖାକୁଣ୍ଡିରେ ଏହା  
ଯାଇବାକୁଣ୍ଡି. ଶାଖାକୁଣ୍ଡିରେ ଏହା  
ପାଦରୀଙ୍କ, ଶାଖାକୁଣ୍ଡି, ତଥାକୁଣ୍ଡି  
ମନ୍ଦିରରେ ଏହା ଶାଖାକୁଣ୍ଡି, ଶା-  
ଖା କେବଳ ପାଦରୀଙ୍କରେମୁଣ୍ଡି, ଶା-  
ଖାକୁଣ୍ଡି ଶାଖାକୁଣ୍ଡି ପାଦରୀଙ୍କରେମୁଣ୍ଡି,  
କେବଳ ଶାଖାକୁଣ୍ଡି.

დადგი ჭამთარი — სძინავს მოუსვენარს. დრო გამოშვებით იღვიძებს, მიღის თავის საკუჭნაოსთან და პირს ჩაიტკიანურებს კაკლით, თხილით ან გამხმარი სოფოთი. გაძლება და ისევ დაიძინებს. სძინავს და სისმარში ხედავს — გადვიძებულ, ლაპაზ, მწვანე შრიალა ტუქ, ბეჭრს, ხულ ბეჭრს კაკალს და ჩის ძირას ლაბაზ სოფოებს.

# ლიკლ-ტიკლის ეშვაკოგა

ინგლისური ცხოვრებიდან.



უ მკითხავთ რათ დაარქებეს ამ ჰა-  
ტარა გოგონას ლიკლ-ტიკლი. ვკრ-  
გეტუვით ამის ჰასუსს. ნამდვილი სახელი კი მისი  
იუო ელენე დაანა. ეს ჩანდა იმითი, რომ როდესაც  
ნათლი დედა, ძალუა ამელია აჩუქებდა ხოლმე ან  
საძობაოთ და ან სახელწოდების დღეს ნახატებიან  
წიგნებს ზედ წააწერდა ამ სახელს.

ლიკლ-ტიკლი ცხოვრობდა მუდამ ქალაქში დედ-  
მამასთან და თავის ჰატარა დაიასთან, რომელსაც  
ეძახოდენ ჭიჭინას, თუმცა მისი ნამდვილი სახელი  
იუო მარგარიტა. ჭიჭინას იმიტომ ეძახოდენ, რომ  
ერთობ სულ ჭიჭინობდა.

ლიკლ-ტიკლს ძალიან მოსწონდა ქდარუნები  
სტყირი, ზურნა და დოლების დაკვრა ქუჩებმი, ძაგ-  
რამ ეგელაზე მეტათ კი წითელ კაბიანი მაიმუნები  
მოსწონდა. ერთი ჰატარა მაიმუნი ხშირათ შემოჭერ-  
დათ ამათ ეზოში. მისი ჰატრონი მეტათ ულამაზო  
იუო: სახე მიწის ფერისა ჰქონდა, ძავი გაბზექილი  
ულვაშები უბრწეინავდენ, დიდორონ თვალებს აბრია-  
ლებდა, თეთრ კბილებს ღრეულავდა. როდესაც „ჭიჭი-



ნაც დაინახავდა მას ფანჯრის წინ, ისე შეეძინდებოდა, რომ მოჰყვებოდა გაუთავებელ ჭიჭეინს და ტირილს, მაიმუნი კი მაღანან ლამაზი იყო! საუცხოვო ლამაზი! წითელი კაბა, წითელი მაღვარი მაღანან უხდებოდა, მეტადრე როდესაც აგროვებდა ფულებს— მაუკრებლები რომ ფანჯრიდან გადმოუკრიდენ.

ლოიკ-ტიკლმა ერთხელ დაინახა როგორ ერთმა პატარა ბიჭმა ბანანის ფოთოლი მააწოდა ამ პატარა მაიმუნს, მაგრამ მაიმუნი გაუწერა, ბანანი მოსტაცა და უნდოდა ბიჭი დაეფაფა, მაგრამ ბიჭმა საჩქაროთ მოჰყურცხსლა. მაიმუნს პატრონმა ბანანის ფოთოლი წაართვა. ლოიკ-ტიკლს ეგონა რომ პატრონმა დასაჯა მაიმუნი უზრდელობის გამო.

და თვითონ სადილზე მაჭიან წრდილობიანთ და ფრთხილათ იქცეოდა, მხოლოთ ერთხელ ააჩხარუნა კოუჭი და ოძეც მხოლოთ ერთხელ დაღვარა.

როდესაც იმ ლამეს დედა აძინებდა ლოიკ-ტიკლს, მან უამბო დედას მაიმუნის საქციელი, და ჭირთა რატომ მაიმუნმა ისეთი უზრდელობა და ბოროტობა გამოიჩინა.

— უსათუოდ საბრალოს კარგათ არ ექცევან, უთხრა დედამ, უთუოდ პატრონი სცემს, კარგს რას ისწავლის.

ბავშვი დედის სიტუაცის უოველთვის კარგათ იხსომებდა.

ლოიკ-ტიკლი ამ სიტუაციაში ჩააფიქრეს.

— საცოდავი მაიმუნი უნდა მოვამორო იმ კაცს,

მოუვიდა ფიქრათ ლიკლ ტიკლს.

ამ დღიდან მან დაიწეო უულების მოგროვება. როდესაც უზალთუნი გაუხდა და ამ დროს ეზოში პატრონმა შეძოიევანა მაიმუნი, ლიკლ ტიკლი გავარდა სამხარეულოში და თავის შეგობარ მხარეულ დედა კაცს შეეხვეშა მაიმუნის პატრონი შეევანა სამხარეულოში და მიეცა ეს უზალთუნი. ჯერ დიდ უბრზე იყო ეს დედაკაცი, მერე დაეთანხმა.

როგორც მაიმუნის პატრონი მიუახლოვდა სამხარეულოს, ლიკლ ტიკლი წიმსვე გავარდა ქუჩაში გასასვლელ კარებიდან მაიმუნთან, თან წაიღო ბანანის ფოთოლი, რომელიც ოვითონ უნდა ეჭიბა საზტმეზე, შეკოლადის დიდი ნაჭერი და დედოფლის მშვინიერი თეთრი მოქსოვილი მოსახურავდ.

ლიკლ-ტიკლმა კაუშოდა ბანანი და შეკოლადი მაიმუნს, იმან მაშინევ მოირბინა ემაწვილთან. მან ერთ ხელში აიღო ბანანის ფოთოლი, მეორეში შეკოლადი და მოჰქვა სარბათ ჭამას. ლიკლ ტიკლი მიუახლოვდა, ერთ წიმს მოსახურავი გადააფარა თავს და ისე აიუვანა მაიმუნი ხელში. ის იყო აპირებდა ალერსით გადაეკოცნა მისი დამჭერარი პირი სახე, რომ მაიმუნი სწრაფლათ სწვდა ლიკლ ტიკლს მის ოქროს ფერ თმებში და მის წითელ ფუნთუმა ლოუებს; მოჰქვა ფხაჭნას და წვეტიანი გბილებით მწარეთ კბენას.

რომ იცოდეთ ლიკლ ტიკლი რანაირათ უვიროდა, ჭიჭეინაზე ერთი ათად მეტათ უვიროდა! მოირ-

ბინა მაიმუნის ჰატრონმა, გაუჯავრდა მაიმუნს, ერთი ორი მიარტეა კიდეც, ლიკლ ტიკლსაც შეუკურთხა, შეუბუდება, საჩქაროთ გავიდა ეზოდან და თან წაიუვანა მაიმუნი ამ ხმაურობაზე მთელი ოჯახი ფეხზე დადგა. ემაწვილი დაბანეს, შეუხვიეს ნატკენი ადგილები, ჩააწვინეს ლოკინძი, ექიმი მოუკეპანეს. ექიმმა გაუწერა წამალი სასაქმებელი წვეთი, რომელიც ისე მაღიან ეჯავრებოდა ლიკლ-ტიკლს.

იმ დამეს დედა მალიან გაუწერა. გამდევლი კიდევ უფრო წინ გაუჯავრდა. ლიკლ-ტიკლი ამათ ტირილით ეუბნებოდა:


— მე მინდოდა მივალერსებოდი, მეკოცნა... მან კი დამიწეო კბენა, ფხაჭნა...

— უადგილო იუთ შენი ალერსი, უთხრა სასტიკათ მამამ.

მას შემდეგ, როდესაც იმ მაიმუნს გაიხსენებდენ სოლმე, ლიკლ-ტიკლი ასტეხდა შეუჩერებლივ სიცილს.

(შემდეგი იქნება)

ტახო.




ԱՐՄԵՆԻԱ  
ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ



ԳՅՈՒՂԻ ԾԱՀԱՆ (ալ. Հակեբյան) մտահղոթառ

ନେତ୍ରମାଳା



არგი რამახარ უუეუნავ  
წვიმავ, მოსულო დღოზედა:  
მარგალიტებად დაესხმი  
მცენარეთ ფოთოლ-შტოზედა,  
დამოსავ მწვანით ველ-მინდორს,  
ფურს გაახარებ ხბოზედა.

მოიყვან ნოეგრ ბაღახს  
მაღლიანს, ბარაქიანსა,  
გაუკვებ ჯიქანს ფურ-კამებს  
სახლში გაგზავნი რძიანსა,  
ლონივრად დამაწივრებ

ზღვად უქცევ დედა-მიწასა  
ნათესებს მრავლოს-მრავალსა,  
გულ-უხვად აძლევ მშრომელსა  
სარჩოდ წლის გამოსავალსა:  
იმითო არჩენს ცოლ-შვილსა,  
მითვი ისტერმერებს სხვა ვალსა...

კარგი რამახარ ეუეუნავ  
წვიმავ, ბროლ-წინწკლებიანო,  
ლეგა ღრუბლების ნაცრემლო,  
შავ-ლურჯა თვალებიანო,  
ზოგჯერ შხაპუნით მოსულო  
ზოგჯერ წკაპუნა ხმიანო.

## ଶିଳ୍ପ ମଲ୍ଲକିମ୍ବେଲ୍ଲା.

## დედალი და იქარი.

(ბერძნული მითოლოგიიდან).



ეციის შვილი, ათინელი დედალი იყო, სახელმ-  
ვანი ოსტატი.

ერთ და იმავე დროს ის იყო ხუროთ—მო-  
ძღვარი, მოქანდაკე ქვისა და ლითონის გამომ-  
ჭრელი.

ყოველ ქალაქზე იყო მისი ნაწარმოები; მისი ქანდაკება  
იყო სიცოცხლით სახსე.

მას ჰყავდა ძმის შვილი, ტალი. ამ უკანასკნელს შეას-  
წევდა თავისი ხელობა. მოწაფემ გაასწრო მასწავლებელს.  
ჯერ კიდევ სულ ყრმა იყო, როდესაც მან გამოიგონა  
ჭურჭლის გასაკეთებელი დაზგა, გააკეთა პირველი ხერხი გვე-  
ლის კბილებიდან და კიდევ ბევრი საჭირო იარალი. სულ  
ახალგაზდამ დიდი სახელი მოიხვეჭა. ტალი ვახდა ამაყი და  
თავმომწონე.

დედალს არ მოსწონდა ჭაბუკის ასეთი გამარჯვება; ეში-  
ნოდა არ მაჯობოსო.

შური შეეპარა გულში.

ერთხელ, საღამოთი, როდესაც ახლო არავინ იყო და  
როდესაც ტალი იდგა ქალაქის გალავანზე, დედალმა ჭკრა ხელი.  
ტალი დაიმსხვრა.

დასამარება რომ მოინდომა, შეეშინდა, მკვლელობა არ  
დამაბრალონ.

კუნძულ კრიტოსზე გაიპარა.

აქ ის მიიწვია შხატვრათ მეფე მინოსმა.

მან შეუკვეთა მინოტავრისათვის სადგომის აშენება. მი  
ნოტავრი იყო უცნაური არსება—ტანი ჭქონდა ხარისა, თავი—  
ადაშიანისა.

დედალმა ააშენა ლაბირინტი. ეს იყო გრძელი, დაკლა, კნული ტალანები.

შესულს ეკარგებოდა გზა და კვალი.

გამოსვლა შეუძლებელი იყო. აი აქ უნდა დასახლებულიყო მინოტავრი. ამის საჭმელი იყო შვიდი ათინელი რჩეული ქალ-ვაჟი.

ცხრა წელიწადში ერთხელ ათინელებს უნდა გამოეგზავნათ ეს მსხვერპლი.

მას უძნელდებოდა ამ კუნძულზე დარჩენა. ირგვლივ იყო ზღვა, თვალ მიუწდომელი ნაპირებით და კუნძულზე — სასტიკი მეფე.

დედალს უნდოდა სამშობლოში დაბრუნება.

მალე მოიგონა ხერხი.

ირგვლივ მარტყია ზღვა — მინოსის სამფლობელო, მაგრამ ჰაერი ხომ მისი არ არის. დავიმორჩილებ ჰაერს.

შეუდგა მუშაობას.

ჰკრეფდა ფრინველების ფრთებს, ბუმბულს. აკეთებდა მათგან დიდ ფრთებს.

ბუმბულს ამაგრებდა წვრილი კანაფით, ქვევიდან სან-თელს წაუსვემდა, ცოტათი მოხრიდა — გეგონებოდათ დიდი, ვეებერთელა ფრინველის ფრთააო.

დედალის პატარა ვაჟი, იკარი, გულმრდგინეთ ადევნებდა თვალს მამის მუშაობას.

თვითონაც ეხმარებოდა.

როდესაც ყოველისფერი მზათ იყო, დედალმა მიიმაგრა ფრთები და სწრაფათ აფრინდა მაღლა, ჰაერში, როდესაც ძირს დაეშვა, შვილმა სთხოვა გაეკეთებინა მისთვისაც ფრთები, მამასთან ერთად მასაც უნდოდა ფრენა.

ჯერ დედალი გაჯავრდა, მერე დაუთმო და გაუკეთა ახალი ფრთები.

„მხოლოდ არ დაიგიწყო, რასაც გეტყვი: გაფრინდი, ძირს არ დაეშვა, თორებ ფრთებს დაისველებ და შიგ წყალში ჩავირდები.

ერიდე აგრეთვე მზის სხივებს, მზის სითბო დააღნიბს სან-თელს რომლითაც შეერთებულია ფრთები: მე გამომყევ და

ფრთხილათ იყავი. ასე არიგებდა დედალი ვაჟს. ხელები უკან-  
კალებდა, ფრთებს რომ ამაგრებდა და ცრემლებით ევსებოდა  
თვალები. ორივენი გაფრინდენ.

შორს დარჩა კუნძული სამოსი, დელოსი, პაროსი.

გამოჩნდა ელლადის ნაპირებიც.

აღტაცებული მოგზაურობით, იკარი ჩამოშორდა მამას,  
მასწავლებელს, და მალლა, მალლა, აფრინდა.

აქ მას სასჯელი მოელოდა. მზემ დააღნო სანთელი,  
ფრთები ჩამოსცვივდენ, ქარს ველარ ებრძოდენ. საკოდავი მი-  
წისაკენ დაექანა. უნდოდა დაეყვირა, მაგრამ ვერ მოასწოო,  
ტალღებმა ჩანთქეს იგი.

დედალმა მიიხედა, ვაკი არ სჩანდა, ტყუილათ ეძახდა—  
ხმა არ ისმოდა, ბოლოს მიწას დაკუქრდა, იქ ზღვის ტალღებ-  
ზე დაინახა ფრთები. ძირს დაეშვა, დიოხანს დახეტიალებდა  
ნაპირზე—შვილს ეძებდა.

ზღვაშ გამორიყა გვამი ერთი კუნძულის ნაპირზე. ამ კუნძულს საბრალო მამამ იკარია დაარქვა.

ამ გვარით ღმერთობმა შური იძიეს ტალის მკვლელობისა-  
თვის. დედალი გაფრინდა სიცილიისაკენ. აქ მას დახვდა სტუ-  
მართ — მოყვარე მეფე კოკალი.

აქაც ყველას აკვირვებდა დედალი თავისი ხელოვნებით.

არის ტბა მისი გაკეთებული. ამ ტბილან გამოდის დიდი,  
განიერი მღინარე.

მაღალ მთაზე, სადაც ფესვებს ვერ იმაგრებდენ ხეები, ააგო კოშკი, გაიყვანა ლამაზი გზა. კოშკი თავისი სილამაზით ყველას ხიბლავდა და ბერი მიდიოდა მის სანახავათ.

აქ დაბინავდა მეფე და ინახავდა თავის სიმღილრე.

მან კიდევ გააკეთა ორმა გამოქვაბული, რომელსაც მიწის  
სიღრმიდან ათბობდა.

გარდა ამისა ააგო აფროლიტეს ტაბარი. უძღვნა ლმერთ-ჭალას ოქროსაგან გაკეთებული თაფლის უჯრედი.

ეს უკანასკნელი იმ ზომამდე ხელოვნურათ იყო გაკეთებული, გეგონებოდა თაფლით არის სავსეო,

როდესაც მინოსმა გაიგო დედალის გაპარვა, ძლიერ გან-  
რისხდა და დააპირა მისი დაბრუნება.

კოკალას შეუთვალი გამოეგზავნა მისთვის დედალი.  
მეფე თითქოს დასთანხმდა და მიიპატიუა მინოსი თავის  
კოშკში.

მგზავრობით დაღლილ მინოსს, შესთავაზა თბილი აბანო.  
აბანო იმ ზომამდე გაახურა, რომ სტუმარი შეი ჩაიხსრო  
მხლებლებს გამოუცხადეს—ბანაობის დროს წყალში ჩავარდა და  
და დაიღუბაო. დიდის პატივით დამარხეს. მის საფლავზე, აგ-  
რიგენტის მახლობლათ, დედალმა ააგო მშვენიერი ტაძარი.

დედალი დარჩა კოკალთან. ის იყო მამამთავარი მშვენიე-  
რი ხელოვნებისა კუნძულ სიცილიაზე.

შვილის სიკვდილის შემდეგ ის დიდი უბედური იყო. ■ სი-  
ბერე უნუგეშო ჰქონდა, თავისი საუცხოვო ხელოვნებით კი  
ქვეყნას აბედნიერებდა.

ა. ფალაფა.



## ს პ ა რ ტ ა პ ი.

II.



ამდენათაც ფართოვდებოდა რომის  
სამულობელო, იმდენათ უფრო იზრ-  
დებოდა მონათა ხელი. თვით რომა-  
ელი ბატონებიც გადაეჩვიენ მუშაო-  
ბას. გართობისა და ქიფის შეტი არა  
ანტერესებდათ რა. გაცხრომა და ფუფუნება იყო მათი მთა-  
ვარი საზრუნავი. ამაში ხელი შეუწყო დაპყრობილ ქვეყნები-  
დან შემოტანილ ნაძარცვნადავლმა. ყოველ ახალ გამარჯვების  
შემდეგ რომის მმართველობა ახალ-ახალს ხარჯს აწერდა. და-  
პყრობილი ქვეყნები უფლებისა და კანონის გარეშე იღენ,  
მათი სახლ-არი, მამულ-დედული, მათი შეილები სულით ხორ-  
ცადე რომაელების საკუთრებას შეადგენდენ. ერთი სიტყვით,  
რომაელი ყველაფერი იყო, არა რომაელი—მონა, უბად-  
რუკი ქმნილება, რომლის სიცოცხლე უბრალო ნივთსავით შე-  
ეძლოთ გამოეყენებინათ.

ამ მხრივ რომაელი გლეხების ბედიც გაცილებით უკეთესი  
იყო მონებისაზე. გლეხობა გადაეჩვია შრომას, ცუდლუტობა  
და გართობა, ან და ომი,— აი რას ჰეიქრობდა იგი, მაშინ  
როდესაც მონებს შოლტით ერეკებოდენ სამუშაოთ და ვაი  
შას, ვინც გაპედავდა ან ურჩობას, ან ვადაზე აღრე მუშაო-  
ბის შეჩერებას და დასვენებას, შოლტისა და ჯოხის ცემით  
უბედურს სულ ტყავს აძრობდენ.

მონებზე გაცილებით ცუდს მდგომარეობაში იყვენ ქა-

ლები. მართალია, მათ იმდენ ჯაფას არ აყენებდენ, მაგრამ მათი ბედი მეტათ სამშუხარო და სამარცხინო იყო. რომა-ელი ბატონები მხევლებათ იძენდენ მათ და თავიანთ გარყვნილ გულის თქმათ საგნათ იხდიდენ. მხევლათ იგი იმდენ ხანს ჰყავდათ, ვიდრე საბრალო სილამაზეს არ დაჰკარგავდა, შემდეგ კი მას ჰყიდდენ, ან და რაიმე მძიმე საქმეს მიუჩენ-დენ, როგორც მათ ძმებსა და მამებს. ხშირათ, ძალიან ხში-რათ გახურებულ მუშაობის ღრმოს საბრალო მონებს მწვავე ფიქრები აეშლებოდათ და გულის წყრომით ეკითხებოდენ თავიანთ ბედსა: „რაო, რა დაგვიშავებია, რომ ასე გვექცევი-ან? განა ყველა ხალხი თანასწორათ არ ვიძალებით? მაშ ვინ მისცა ნება ერთ კაცს მეორე კაცზე გაბატონდეს? რად გვეპ-ყრობიან ჩვენი ბატონები ასე მკაცრათ? ჩვენ ხომ იმათზე მე-ტი ბრალი არ მიგვიძლვის, ხომ სამშაობლოსთვის ვიბრძოდით, მის უფლებათა დაცვას მოვანდომეთ ჩვენი ძალ-ლონე! ნუთუ ძალაა კანონი, ნუთუ ძლიერის ნების ყოფა ნამდვილი კანონ-მდებლობაა, რომ დამარცხებულთ დაგვინიონ, დაგვამტირონ და ყოველ სამართლისა და მფარველობის გარეშე გამოგვაც-ხადონ?“

ამ მოლევარე ფიქრებში გართული მონები მოელის არ სებით ირყეოდენ, მაგრამ გაიტყვლა შუნებდა ზედამხედველის შოლტი და მონაც შეკრთხებოდა, გაახსნდებოდა, რომ სწრა-ფი, თვე-აუღებელი მუშაობა იყო საჭირო, ფიქრების ჩაკვლა, რომ სასჯელს ასცილებოდა იგი.

მაგრამ მომხდარი ისიც, რომ მოთმინების ფიალა ავსებია მონას, ველარ გაუძლია უადამიანო მოპყრობისთვის და გაქ-ცევა მოუნდომებია. ასეთი ურჩი მონა სასტიკათ ისჯებოდა. რომაელთა კანონი ასეთს სიკვდლით დასჯას უქადოდა. ჯერ კარგათ გასწევალავდენ, შემდეგ ნაცემს, სისხლიდან დაც-ლილს ბნელ სარდაფში ჩაგდებდენ და უსმელ-უშმელს იმ-დენს ხანს ამყოფებდენ იქ. ვიდრე ბატონი არ მოისურვებდა მის ამოყვანას, პატიებას. თუ ასეთ მოწყალებას არ მოიღებდა იგი, მაშინ მონას წამებაში უნდა დაელია სული-

მონებისადმი ასეთს ქცევას რომაელები სრულიად სამარ-თლიანათ სთვლიდენ და არა გრძნობდენ, რომ ისინი ამცი-

რებლენ და შეურაცხოფდენ თავიანთ მზგავს აღამიანსა. სიმ-  
 ღიდრემ და ძალოვნებამ რომაელი გააამაყა, აღამიანობის ღირ-  
 სათ მხოლოდ თავის თავს სთვლიდა. მონა კი, მისი აზრით,  
 ნახევრათ პირუტყვი იყო, რომლის ყიდვა-გაყიდვა ისევე შეი-  
 ძლებოდა, როგორც ნივთისა. „განა მონა აღამიანია?“ ხში-  
 რათ გაიგონებდით რომაელოთაგან. ამიტომაც მონისთვის შრო-  
 მის გარეშე არავითარი სხვა რამ უფლება არ არსებობდა. მას  
 იმისი უფლებაც კი არა ჰქონდა, რომ საკუთარი ოჯახი მოეწ-  
 ყო, ან რაიმე საკუთარი სურვილი ჰქონდა. მას არ შეეძლო  
 ეჩივლა თავის ბედზე, ანუ ბატონზე, თუ ეს უკანასკნელი მე-  
 ტის მეტათ მკაცრათ მოეპყრობოდა. მონის სიკვდილი რომა-  
 ელ კანონით დანაშაულებათ არ ითვლებოდა. მას უფრო ბა-  
 ტონის საზარალო ამბათ სთვლიდენ. მონის მხრით კი ყოველ  
 გვარი ურჩიბა, წინააღმდეგობა, განსაკუთრებით გაქცევა და  
 ბატონის მოკვლა ტყავის გაძრობით და ჯვარზე გაკვრით ის-  
 ჯებოდა.

## III

რომაელთა გაძლიერებამ, დიდალ მონათა ხელის გამ-  
 რავლებამ მალე მეტ ბარგათ გახადა რომაელი გლეხობა, რო-  
 მელიც წინათ ხვნა-თესვით ცხოვრობდა. აუარებელი პური  
 შემოდიოდა დაპყრობილ ქვეყნებიდან, სულ მუქთათ, და გა-  
 ნა ლირდა რომაელ გლეხის გარჯა? ამიტომაც გლეხები მო-  
 აწყდენ ქალაქს და დაიწყეს სამუშაოს ძებნა. მაგრამ რო-  
 მაელ ბატონებს გლეხი არ სკიროდათ, რადგანაც მუშა ხე-  
 ლიც მუქთი ჰქონდათ. ამ გარემოებამ დაპერადა გლეხთა შო-  
 რის უკმაყოფილება. ხშირათ აჯანყდებოდენ: „სამუშაო და  
 პურიო!“ გაიძახოდენ ისინი. მართლაც, რომ მათი რისხვა  
 თავიდან აეცილებიათ, რომაელი ბატონები ურიგებდენ პურს,  
 ტანისამოსს.

რაკი გლეხობამ ერთხელ იგემა მუქთად საჭმელ-სასმელი-  
 სა და ჩასაცმელის შოენა, ის გაირყენა და ახლა მეტიც მო-  
 ინდომა. დაუმატეთ ისიც, რომ რომში მდიდართა შორის გა-  
 ჩაღდა მეტოქეობა დაწინაურების შესახებ. დაწინაურება კი  
 შეიძლებოდა იმით, თუ მეტი მომხრე ეყოლებოდათ. ამიტო-

მაც ოვითეული დაინტერესებული პირი აუარებელს ხარჯავდა მუქა-ხორათა გულის მოსაგებათ. პურსა და ტანისამოსს ახლა გასართობებიც დაუმატეს. შემდეგში გართობაშ უფრო რთული სახე მიიღო. ხალხს უბრალო სანახაობა არ აკმაყოფილებდა, მას სურდა უფრო მეტი და ეს მეტიც ისე არას დაუკმაყოფილებია, როგორც ეგრეთ წოდებულ „გლადიატორთა ბრძოლას.“

ეს შესანიშნავი სანახაობა რომში მეორე საუკუნეში შემოიღეს ქრისტეს დაბადებამდე. ეს ის სანახაობა იყო, ურომლისოთაც რომს თითქოს ცხოვრება აღარ შეეძლო. გლადიატორების ბრძოლას, რომაელნი ტყვეების ბრძოლას უწოდებდენ. ტყვე-მონათა შორის ამოარჩევდენ ჯანსალს, ლონიერსა და უფრო თამამ კუნთებიანებს, რომელთაც გლადიატორთა სკოლაში აბარებდენ. აქ გამოკიდილ მასწავლებლისაგან სწავლობდენ იარაღის მარჯვე ხმარებას ერთმანერთან საბრძოლველათ. სწავლის დამთავრების შემდეგ გლადიატორები გამოჰყავდათ ცირკში, სადღესასწაულოთ მოსულ რომაელთა წინაშე ბრძოლის გასაჩაღებლათ. დღესასწაულის გამმართველი დიდი ბატონი თვისი თანამერქნობებით განსაკუთრებულ აღგილს იქვერდა, უბრალო მაყურებელ ხალხს თავისი საგანგებო აღგილი ჰქონდა მიჩნილი; ამათში ხშირათ ერივნენ მათხოვრებიც კი. ყველანი ცდილობდენ უკეთესი აღგილი დაეჭირათ, რომ უნახავი არა გამოაპარვოდათ რა საყვარელ სანახაობიდან.

ცირკის შეა აღგილი ეჭირა მრგვალ აღგილს, რომელსაც რომაელები არენას ეძახიდენ. არენა მუდამ წვრილი ქვიშნარით, იყო დაფენილი, რომ სისხლი სწრაფათ ამშრალიყო. ით ამ აღგილს, მიცემულ ნიშნის თანახმათ, გამოჰყავდათ გლადიატორები, მათ გამოაჩენაზე მთელ ცირკს ყიუინა შესძრავდა ხოლმე. გლადიატორები ჯერ ნელა შემოუვლიდენ არენას და დანიშნულ აღგილს მიაღწევდენ თუ არა, პირს იბრუნებდენ დღესასწაულის გამმართველისკენ და მდაბალი სალამით თავს უკრავდენ. შემდეგ იწყებოდა ბრძოლა. პირველათ იბრძოდენ ორნი. ამათში ერთი შეიარაღებული იყო მოკლე ხლმით და ფარით, ხოლო მეორე მსუბუქი სამკაპით და

დაბადით. ამ უკანასკნელის დანიშნულება ის იყო, რომ მოწინააღმდეგე ბადეში გაეხვია და აეძულებინა ფარხმალის დაყრა. რა თქმა უნდა, შეძლევ მისი სიკვდილი აღვილი იყო: სწრაფათ სამყაპს დაჰკრავდა და დამარცხებულს თვალის დახამხამებაზე გაჰვირავდა. თავის მხრივ პირველიც ცდილობდა მისი ბადე მარჯვეთ აეცილებია თავიდან, როგორმე ახლოს მიხტომოდა, რომ დაეჭრა მკლავში, რა არის ბადე ვეღარ მოეხმარა. უფრო მარცს და თავზე ხელ აღებულს რჩებოდა გამარჯვება. მაყურებელნი მას აღტაცებულის ყიფინით და ტაშის კვრით ეგებებოდენ.

ორ გლადიატორს გარჯიშობის დროს ნელ-ნელა მომხრები უჩნდებოდენ. რიგ-რიგათ აშველებდენ ერთსაც და მეორესაც. ესენიც იბრძოდენ წყვილ-წყვილად, შეძლევ ჯგუფ-ჯგუფათ, რაიც საბოლოოთ პატარა ომის სურათს იღებდა ხოლმე. დამარცხებული, თუ სასიკვდილოთ იყო დაჭრილი, ფერ-მკრთალი სახით მიჰმართავდა მაყურებლებს და უხმოთ, ვეღრების ცუცლით მოელვარე მიმკრთალ თვალებით პატივიბას ითხოვდა. გამარჯვებულს ამ დროს მის მკერდზე დაბჯენილი ჰქონდა მუხლი და მაყურებელთა გადაწყვეტილების მოლოდინში იყო. მაგრამ სანახობისთვის გადარეულ მაყურებელთ გული გაქვავებული ჰქონდათ და დამარცხებულს ძნელათ თუ როდისმე მიანიჭებდენ სიცოცხლეს. თითქმის ერთხმათ ყველანი მის სიკვდილს მოითხოვდენ, თუმცა დამარცხებულის დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ მოწინააღმდეგეზე ძლიერი და მარცი ვერ გამოდგა. გამარჯვებულიც უდროტვინველათ ასრულებდა მაყურებელთა მოთხოვნილებას; წაქცულს მახვილს გაუყრიდა და არენაც სისხლის ახალ-ახალი ნაკაღულებით იღებებოდა.

ასეთი იყო უბედურ მონების ცხოვრება. არენა მუდაშ შეუმშრალი იყო მათი სისხლით. დაცემულ გვამს სწრაფათ გააქანებდენ ცირკის მსახურნი, რა არის სხვებისთვის საშუალება მიეცათ თავისუფალი მოქმედების და სისხლის ღვრისა. გლადიატორი ხედავდა, რომ უბედური იყო. ხშირათ თვითონაც სურვილის წინააღმდეგ აუმართავს მახვილი, მაგრამ რომაელთა სურვილი მისთვის ნამდვილი კანონი იყო და ისიც ასრულებდა თავის მოვალეობას.

ამ გარემოებას ხშირათ, ძალიან ხშირათ დაუფიქრებია უბე-  
ღური გლადიატორები. თავისუფალ ღროს, სწავლის შემდეგ,  
მიკუნჭებოდენ სადმე მიყრუებულს კუთხეში და ერთ-ურთს  
უზიარებდენ თავიანთ ნაღველს. ოხვარ-ვაებას, ბედის ჩივილს  
ისინი გამოსთქვმდენ ჲთავიანთ ნაღვლიანს სიმღერაში, რომ-  
ლის ნაწყვეტმაც ჩვენამდე მოაღწია. აი ერთი ასეთი სევდიანი  
ჰანგიც:

„ის დაიბადა თავისუფალი,  
ვით შავარდენი მაღლა მფრინავი,  
იყო ძლიერი, ვით არაბეთის  
უდაბნოს ლომი მძლავრად მგმინავი.  
მაგრამ დაეცნენ უცხოთ მოსულნი,  
ხელზე ჯაჭვები გამოუჭედეს,  
შორს წარტაცებულს ვინ რას მიჰედავს,  
თუნდ წყველა-კრულვით ცას შესჭექავდეს!  
და, აჰა, ჰედავთ, არა სახლისთვის,  
ან სამშობლოსთვის იბრძვის ვით ლომი,  
არამედ გარყვნილ უცხოელთათვის  
კვდება ბედერული გლადიატორი.“

თვითეულ გლადიატორის გულში იმაღებოდა თავისუფ-  
ლების ძლიერი წყურვილი, თუმცა იმედი, რომ ამ სასურ-  
ველს მიაღწევდენ, არასოდეს გაპლვივებიათ. მხოლოდ სიკვ-  
დილს შეეძლო გაენთავისუფლებინა უბეღური. და რამდენა-  
თაც იმედ დაკარგული იყვნენ თავისუფლების მიღებაზე, იმ-  
დენად უფრუ იზრდებოდა ზიზლი და შურისხიება სასტიკ გა-  
მარჯვებულთა წინააღმდეგ. იქნებ არა მოეხდინათ კადეც,  
მაგრამ მესვეური არ ჰყავდათ, ისეთი ადამიანი, ვინც შეს-  
ძლებდა მათ შეერთებას ჯალათთა წინააღმდეგ გასაღაშქრებ-  
ლათ, რომ ან დახოცილიყვენ, ან არა და დაებრუნებინათ  
დაკარგული თავისუფლება. საბედნიეროთ მაღლ ასეთი კაციც  
გამოჩნდა. ეს იყო სპარტაკი...

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

## ԱՎԱՐԺԱՆՈ ՈՎԵՅԱՆՈ

მოულოდნელი მნახველი.



ରୁଦ୍ରାମଣି ଲଙ୍ଘ  
ନ୍ୟୁ. ପ୍ରାଚୀ ନାଥୀ,  
ତାଳକୀ ଘେରୀ ଗୋ-  
ଦାଢ଼ିକୁଳାଦା ଲା  
ଅଲୁଗୁଲୁଗୁ ତ୍ରିର୍ଯ୍ୟଦିଲୁ ଘେ-  
ରୀତ ଶ୍ରେଣ୍ୟବିଲୁଧ୍ୟମ. ଖେ-

ვის ნაცრის ფერ ზედაპირს ფოლადის ფერი გრძელი ზოლები  
გადასწოლოდა. ნისლის ნაფლეთები ჰაერში დაცურავდა  
და ფარავდა ზღვის ნაპირებს.. პატარა კუნძული თავი-  
სი თეთრი კანდელით მაინც ცხადათ მოსჩანდა თეალ უწვ-

დენელ წყლის სივრცეზე. კანდელის თეთრი კოშკი რაღაც მოჩვენებასავით იცირებოდა ღრუბლების შუბუქ ფარდები-დან. ჩათალხული ნაძვი კუნძულზე მგლოვიარეთ გამოიყრე-ბოდა. ზღვის მიქცევის დროს დანასველები შავი კლდეები-ერთმანერთს ეკვროდენ, თითქოს უნდათ თავიანთი სიტი-ტვლე დამალონო.

პატარა ნაეთსადგურის ნაპირზე წყნარათ დადიოდა ორი კაცი. ერთი მათგანი, ეტყობოდა, ცხარედ მოუთხრობდა რა-ლოცას ამხანაგს; მეორე კი დადუმებული და ღრმათ ჩაფიქრე-ბული უგდებდა ყურს. ორივე ხნიერები იყვენ, ორივეს თმე-ბი სულ გაჭალარებული ჰქონდათ. ერთი შუა ტანის, ხმელი კაცი იყო, მეორე კი — ახოვნი ტანის, ბრგე შეხედულების მოხუცი. ესენი იყვენ კაპიტანი იანვარი და მისი მეგობარი პასტორი. ჯერ მარტოკა პასტორი ლაპარაკობდა, კაპიტანი კი სდუმდა. ცოტა ხნის შემდეგ იანვარიც ალაპარაკდა.

— პატორო! პასტორო! უთხრა მან საკმაოთ აღელვებუ-ლი ხმით, — მე არ ვარ გრძელ სიტყვებს ნაჩვევი. გრძელი სი-ტყვები თავბრუს მახვევს ხოლმე. უნდა გთხოვთ გამიმეო-როთ ზოგიერთი ალაგი თქვენი ნათქვამი ამბისა. ამასთან გთხოვთ ნელა ილაპარაკოთ, რადგანაც მოხუცებულობის გა-მო ჩემი გულის ყური ვერ ითვისებს ჩქარა მოთხრობილ ამ-ბავს. თქვენ ამბობთ რომ გუშან თქვენთან მოვიდა მანდი-ლოსანი?

— დიახ, მოვიდა ის მანდილოსანი, უთხრა პასტორმა ისეთი ალერსიანი კილოთი, თითქოს პატარა ბავშს ეფე-რებაო.

— გუშინ მშვენიერი დღე იყო, ხელიხლა დაიწყო კა-პიტანმა. ქვენა ქარი ქროდა, დილიდანვე ზღვას სქელი ნის-ლი აღა. დიახ, მე ყოველთვის მაშინებდა ნისლი, მე მირ-ჩენია კა ღონიერი ქარი იყოს, გიღრე ნისლი. ცუდი რა-მაა ნისლი! ღონიერი ბობ პიტოს გემი ამ ნისლის გამო წყალთხელს მოხვდა. მაგრამ დღის განმავლობაში გუშინ დარი გამოვიდა, ცა მოიწმინდა, ნათელი დღე დადგა და მშვენიე-რი დარი დაიჭირა.. დიახ...

პასტორმა შეშფოთებით შეხედა მოხუც მეზღვაურს. მა-



გრამ კაპიტანი იანვარის თვალები ისევ ისე მშეიღათ, ნათ-  
ლათ და გონიერათ გამოიცირებოდენ, როგორც ყოველ-  
თვის.

— თქვენ გეგონათ, პ. პასტორო, რომ მე გონება დავ-  
კარგე ან და მეზღვაურების ძველი ჩვეულებისამებრ, ერთი  
გადავკარი და შევზარხოში — არა?.. გარწმუნებთ არც ერთი  
ეს უბედურება არ დამტეხია! მე მინდოდა მხოლოთ ნათ-  
ლათ. წარმომედგინა ყველაფერი, რაც მოხდა. ვიმეორებ, მე  
ნისლისაგან არასოდეს ხეირი არ მინახავს. პო, თქვენ ბრძა-  
ნეთ, რომ იმ მანდილოსანს თქვენ სახლში მოუძღვა კაპი-  
ტანი ნაზრო?

— დიახ, უპასუხა პასტორმა. მას კიდევ ახლდა ქმარი  
და ლოცმანი რობერტ პიტი. იმათ მიამბეს რომ ქალბატონ-  
მა მორტონმა (ეს გვარია იმ ქალისა) დაინახა გემის ბაქანი-  
დან ლოცმანის ნავში მჯდომი ბავში. ეს მანდილოსანი ძა-  
ლიან გააკვირვა ბავშის დანახვმი, რადგან ის საოცრათ გავდა  
იმის დას, რომელიც გემზე დაიღუპა ქმარ-შვილიანათ — პაწა-  
წა გოგონაც თან ჰყავდა თურმე. ათის წლის წინათ.

— ათის წლის წინათ, გაიმეორა კაპიტანმა იანვარმა და  
ხელი გადაისო შზით დამწვარ სახეზე, რომელიც კიდევ უფ-  
რო გაშავებულიყო ამ უკანასკნელ წამებში. — ათის წლის წი-  
ნათ, ენკენისთვეში, სოქვა მან — ყველაფერი ღვთის ნება!  
განაგრძეთ, ბ-ნო პასტორო! მანდილოსანმა მიაშეგავსა თავის  
დას ბავში, რომელიც ათის წლის წინათ ღმერთმა ჩემ ხელ-  
ში ჩააგდო.

— ქალბატონი მორტონი ისე ძალიან გააოცა ბავშისა  
და თავის დის მსგავსებამ, განაგრძო პასტორმა, რომ მან  
ცხვირსახოცის ქნევა დაუწყო ლოცმანს, მაგრამ ამან სწრაფათ  
შეაბრუნა ნავი და გაშორდა გემს. მაშინ მორტონმა მიმართა  
გემის უფროსს, კაპიტან ნაზროს და ემუდარებოდა შეეტყო  
ვინ იყო ეს პატარა ქალი, რომელმაც ასე გააკვირვა ის. კა-  
პიტანმა ნაზრომ უამბო მას რაც იცოდა ამ ბავშის შესახებ.  
ამის შემდეგ ქალბატონი მორტონი დარწმუნდა რომ ბედმა  
ის მოულოდნელათ შეახვედრა თავისი საყვარელი დის შვილს,  
რომელიც იმას დაღუპული ეგონა. შემდეგ, როდესაც ლოც-



მანი გემზე დაბრუნდა, ქალმა დაუწყო გამოკითხვა ბავშის შესახებ. მაგრამ, ალბათ კეთილი ბობი შიშობდა თქვენს წყენინებას და მორტონის კითხვებს პასუხს არ აძლევდა. კაპიტანმა ნაზრობ ურჩია მორტონს ჩემთვის მოემართნა, რადგან მე დავასაფლავე მაშინ გემზე დაღუპულები. ქ-ნი მორტონის ნაამბობი რომ შევადარე იმას, რაც ვიცოდი გემზე დაღუპულების შესახებ, დავრწმუნდი, ჩემო საყვარელო კაპიტანო, რომ...

— წყნარა, წყნარა, ბატონო პასტორო, გააწყვეტინა კაპიტანმა, მე ხომ მოხუცებული ვარ, თუმცა დღემდე კი ვერა ვგრძნობდი ამას.-.

— მე ვალდებული ვარ გითხრა, ჩემო საყვარელო მე- გობარო, ხელ-ახლა დაიწყო პასტორმა და სიყვარულით და- დო ხელი-ხელს, მე სრულიად ეჭვი არა მაქს იმისა, რომ შუქურა ქალბატონ მორტონის დისტულია.

— მერე რა? — წარმოსთქვა მოხუცმა მეზღვაურმა ისეთის მძლავრის ხმით, რომ პასტორი უნდებურათ უკან დაექანა. მე- რე რა? გაიმეორა იანვარმა. — რა გაუკეთა ქ-მა მორტონმა თავის დისტულს? გამოგლიჯა ბავშვი გაცოფებულ ოკეანეს საშინელ პირიდან, რომელსაც ის უნდა ჩაეყლაპა ისე, რო- გორც ჩაყლაპა მისი საბრალო მშობლები? იდგა ის კლდეზე და ებრძოდა გაშმაგებულ ტალღებს, რომლებიც ყოველ წუთს უფსკრულში ჩანთქმას ემუქრებოდენ იქაურობას? გამოაცალა ბავში მან დედის გაშეშებულ ხელებს და შეჰვიცა სიკვდი- ლამდის მისი მფარველი ყოფილიყო? განა მან.. მაგრამ მო- ხუცის მქუხარე ხმა, საყირივით მძლავრათ მომძახი, შეურა- ცყოფისა და სიმწარის გამომხატველი, უეცრათ შესწყდა... იანვარმა თავი ჩაჰკიდა. — გთხოვთ მაპატიოთ, ბ-ნო პასტორო, ნელა უთხრა მან ცოტა სიჩუმის შეჩდევ. ღმერთი ხომ დავი- ვიწყე ამ მსჯელობის დროს, თუმცა მის წმიდა სახელს სულ ვიმეორებდი? მისი ნება კი არ გავს ჩვენ ნებას! მისი გზა სულ დაშორებულია ჩვენ წვრილმან სურვილებს. იყოს ნე- ბა უფლისა.

იმან მოიხადა გაცვეთილი ქული და რამდენიმე წუთს თავ-აულებელი იდგა.

## ქანიტანი იანევარი.

მაშ ასე, ბატონო პასტორო, წყნარათ და მხნეთ დაიწყო  
მოხუცუმა კაი ხნის სიჩუმის შემდეგ — როდესაც თქვენთვის ყო-  
ველივე გამოირკვა, თქვენ დათანხმდით გეკისრათ მონდობი-  
ლება ქალბ... თქვენ მობრძანდით ჩემი შუქურას... მისი დის-  
ტულის წასაყვანათ.

— არა, არა! ხმა მაღლა წარმოსთქვა პასტორმა. ქნი  
მორტონი ასე უგულოთ ვერ მოიქცევა! რამდენათაც მე ამ  
მოკლე ხანში გავიცანი, ის ქალი ძალიან გულკეთილი ვინმეა  
და კარგათ ვრძნობს, თუ რა სიკეთე უყავით თქვენ მის დის-  
ტულს. იმას სურს ინახულოს მისი დისტული და, რა თქმა  
უნდა, მოწადინებულია სარგებლობა მოუტანოს ბავშვს.

— შუქურას სარგებლობა მოუტანოს! — გაიმეორა მოხუცმა.  
აი რა უნდა ვიქონიოთ სახეში, სწორეთ ამას უნდა ჩავეჭი-  
დოთ! განაგრძეთ, ბატონო პასტორო!

— ქალბატონმა მორტონმა მე მთხოვა წინ და წინ წა-  
მოვსულიყავ — სთქვა პასტორმა — რომ მომემზადებინეთ თქვენ  
და მომეცა დრო გეფიქრნათ იმაზე, რაც ასე მოულოდნელათ  
მოხდა. ერთი საათის შემდეგ ისა და მისი ქმარიც მოვლენ  
რობერტ პიტის ნავით. რა ახირებული კაცია ეს პიტი! ნუ  
თუ ამ კაცის თავში ყველაფერი თავის რიგზეა? საიდან აეძრა  
ამ კაცს მტრობა მორტონის და მისი ქმრის წინააღმდეგ? ერ-  
თი სიტყვის თქმაც არ გაიმეტა იმათთვის ამ ახირებულმა კა-  
ცმა! ძლივ — ძლივობით დავითანხმე, რომ წამოუყვანა აქ კოლ-  
ქმარი მორტონი, თუმცა, ამავე დროს საშინლათ გაანჩხლ-  
და, როცა მოვინდომე სხვა ნავის დაქირავება. ხომ სანდოა ამ  
შემთხვევაში ეს ახირებული კაცი?

— ბობი? ჰკითხა კაპიტანმა და უნებურათ გაიღიმა. ის  
უფრო სანდოა, ვიდრე სხვა ვინმე. საწყალი ძველი მეგობარი!  
მაშ თქვენ ამბობთ, რომ ის მტრულათ შეხვდა იმ ხალხს?

ამ წამს მოხუცმა შეამჩნია, რომ ზღვაზე რაღაც მოცურავ-  
და და სულ სხვა ხმით უთხრა:

— აი ბობის ნავი! ნავში ეხედავ ქალს და კაცს..

— რა მაღლე გამოუვლიათ ეს მანძილი ხმელეთსა და კუნ-  
ძულს შეა, შენიშნა პასტორმა, ჩემზე ბევრათ ადრე მოვიდენ,  
თუმცა მეც კაი მენავე შემთვდა. გამხნევდი, ჩემო მეგობარო!



ქვეყანაზე ბევრი ახირებული და საოცარი რამ ხდება. ჩვენ-  
თვის ასეთი შემთხვევა ხშირათ მიუწლომელია ხოლმე.

— თქვენისთანა განსწავლულ კაცს მე ხომ ვერაფერს ა-  
ვასწავლი, მაგრამ ერთი რომ უნდა შევნიშნო: მე არაფერ,  
მნიშვნელობას არ ვაძლევ იმას, თუ როგორ უცქერიან აღა-  
მიანები ამა თუ იმ შემთხვევას. მე მხოლოდ ისა მწამს, რაშიაც  
ღვთის განვება მოსჩანს და მგონია, რომ ამ საქმეში სწორეთ  
ღვთის განვება მოსჩანს. იყოს ნება ღვთისა!

ათი წუთის შემდეგ მოხუცი დამშვიდებული იდგა ზღვის  
პირას და თავაზიანათ შველოდა ქ-ნ მორტონს ნავიდან გად-  
მოსვლას.

— კეთილი იყოს თქვენი კუნძულზე მობრძანება, ქალბა-  
ტონ! მიესალმა მოხუცი და შემდეგ ღირსეულათ და თან  
თავ-შდაბლათ შენიშნა: აქ ჩინებული სამყოფია სამსახურიდან  
მოსულ კაპიტნისათვის, ხოლო შეუფერებელია თქვენთვის,  
ბატონებო!

— ა, კაპიტანო იანვარო! არ ვიცი რა უნდა გითხრათ!  
უთხრა ქ-მა მორტონმა.— ეს იყო მაღალი, წარმოსადეგი ტანის  
ლამაზი და სანდომიანი ქალი; თვალები ისეთივე ჰქონდა რო-  
გორიც შუქურას თვალები იყო.— მე თქვენ თვალში აღმათ  
უგულო, ბოროტი ქალი ვარ, რადგანაც გართმევთ იმ ბავშს  
რომლის გამოზრდას იმდენი შრომა და ზრუნვა მოანდომეთ,  
რომელიც თქვენი შვილივით შეიყვარეთ. მართალია, მე სწო-  
რეთ იმ აზრით მოველი აქ, რომ ბავში წავიყვანო. თქვენ კე-  
თილსა და პატიონსან თვალებს რომ ვუყურებ, არ შემიძლია  
სიმართლე დავმალო, არ გითხრათ ჩემი წადილი. მე მოველი  
ჩემი ძეირფასი დის შვილის წასაყვანათ — ეს ჩემი მოვალეობაა.

იმან ორივე ხელები დაადო მოხუცი მეზღვაურის ხელე-  
ბს და ცრემლ-მორეული თვალებით შესცექროდა მას.

მაგრამ კაპიტან იანვარის სახე არ გამოცვლილა. იმან წყნა-  
რათ უპასუხა ქალს:

— დიახ, ეს თქვენი მოვალეობაა, ქალბატონ; ამის ში-  
ნაღმდეგ ვის რა ეთქმის. მაგრამ მე ერთი რამ უნდა გთხოვოთ;  
და კაპიტანმა დიდხანს შეაჩერა თვალისტუმარ ქალის სახეს —  
ერთი რამ — გაიმეორა მან. — ნურაფერს ნუ აუჩქარდებით. ბავშმა

ჯერ არაფერი იცის, ის არ უნდა შევაშინოთ, ის ნაჩვევისა ჩემ აუჩქარებლობას, ის ყოველთვის თითონ პატრონობს თავის-თავს და მეც თითქოს მის ნებას ვემორჩილები. ბავში ცეცხლია, მაგრამ თან ნამდვილი ბრილიანტიცაა, ნამდვილი, წმინდა წყლის ბრილიანტია; გარწმუნებთ, ქალბატონო, მე არ ვადიდებ ამას.

ქალბატონი მორტონი ტიროდა; იმს საბასუმო სიტყვებიც ვერ მოეძებნა. მაშინ იანვარი მივიდა ამ ქალის ქართან, რომელმაც მაგრათ ჩამოართვა ხელი მოხუც მეზღვაურს.

— ახლა ნება მიბოძეთ ერთი ორი წამით დაგტოვოთ თქვენ, უთხრა იანვარმა. ბობ პიტი რაღაცას მანიშნებს; თითქოს ნავი ელუპებოდეს და შიგ მჯდომნი გასაჭირში იყვნ. ის გაშორდა სტუმრებს და მივიდა ლოცმანთან.

— რა მოხდა, ბობ, ჰერთხა მან ლოცმანს, როცა ორივენი საკმაოთ გაშორდენ დანარჩენებს და ამათი ლაპარაკი არავის ესმოდა. — რატომ იღრიჯები ისე?

— აი რას გეტყვი, კაპიტანო, უთხრა ბობმა დაბალის ხმით, — ქალის შეურაცყოფა არ შემიძლიან... არ ვარგა. იმ კონტა ბატონს კი... შეიძლება კლდიდან გადავუძახო, ხელი ვკრა... იცით... ეს შემიძლია, ოლონდ მიბრძანდეთ, ინებეთ...


(შემდეგი იქნება)

6. 3.



## ხელოვნება და ხელობა ცხოველთა შორის

თერმიტები.



ტერმიტები, ანუ თეთრი ჭიანჭველები—სწორ ფრთიანი მწერებია. სცხოვრობენ დიდი კოლონიებით ვეება შენობებში—ტერმიტების ბუდეებში. სხვა და სხვა ბუდეების მცხოვრებლები ერთმანეთისაგან განირჩევიან. ყოველ ბუდეში არის წყვილი ტერმიტები—დედალ-მამალი, რომელნიც მარტო გამრავლებაზე ზრუნავენ. კვერცხის დადების დროს დედალი ტერმიტის მუცული ძლიერ დიდდება და წააგავს მოზრდილ კიტრს. ამ დედალ-მამალ ტერმიტებს აქვს ფრთები, მაგრამ შემდეგში ფრთებს ჰკარგავენ. სხვებს არა აქვთ ფრთები. ესენი არიან მუშა ტერმიტები და მხედრები.. ამ უკანასკნელებს აქვთ ფართო თავები გრძელი, მჭრელი ღრანჭებით. მათი საქმეა ბუდის დაცვა.

მუშები აშენებენ ბინას და თვალ უურს ადევნებენ შენობას. ბუდეში კიდევ არის კვერცხები, ჰარკები, ჭიები. (კუკლკი, ლიчинკი) ეს უკანასკნელნიც იღებენ. მონაწილეობას მუშაობაში.

სხვა და სხვა ჯიშის ტერმიტები სხვა და სხვა ნაირათ ბინადრობენ. ზოგი თხრის ბუდეს მიწაში, სხვები იკეთებენ ბუდეს ხის ფულუროებში, ზოგი - ხის ტოტებზე. არის ისეთებიც, რომელნიც აშენებენ ვეება ტაგრუცებს, (курганы). ესენი გვანან თივის ბულულებს რამდენიმე თავით. ძლიერ მაგრებია — კამეჩის შეუძლია გაიაროს მაზედ და არ დაანგრიოს. ეს ტერმიტები ხმარობენ თავის შენობებისათვის მხოლოდ ფისით შეზავებულ მიწას. წვიმა ვერას ავნებს მათ ბინას, ზედ დაცემული ხეც ვერ ანგრევს მას.

სელოენება და სელობა ცხოველთა მორის. გვივის გვივი

ტერმიტების ხასიათი ცოტათი არის გამოკვლეული. ის სცხოვრობს ცხელ ქვეყნებში და იქ კი ძნელია მისი შესწავლა. უველაზე ცნობილი ტერმიტები არიან მეომარი ტერმიტები (Germes belllicosus.). ესენი სცხოვრობენ აბაშეთში, აფრიკის აღმოსავლეთ ნაპირებამდე.




ჭიანჭველა ლომი.

„ხაჭიროა ნაწილ—ნაწილ დავარლეიოთ ტერმიტის ბუდე, რომ დავაფასოთ რა ხელოვნებით არის აშენებული მეო-

მარი ტერმიტის ბუღე, ამბობს კატრიფაზი. ასეთი ბუღე დაანგრია, სმიტმანშა.

როდესაც გაჩნდებიან ტერმიტები მინდოორში, ჯერ აგვებენ ორ კონუსის მსგავს კოშკს, მერმე ამათი რიცხვი მატულობს. სიმაღლე 5 ფუტამდე იქვე ამ კოშკებს. ნელ-ნელა



ტერმიტები (თეთრი ჭინჭველა, მეფე—დედოფალი, მხედარი, მუშა, ფრთიანი თეთრი ჭინჭველა, ტერმიტების სასახლე.)

ეს კოშკები იზრდება, საფუძველი მათი განივრდება, ცოტა ხნის შემდეგ ერთმანეთს უერთდებიან და ოთქას. შედუღლდე-

# ხელოუნები და ხელობა ცხოველთა შორის

ჰით. ის მანძილი, რომელიც მათ აშორებდა ერთმანეთს, ძღვარ არის და წელიწადი არ გასულა ჯერ, რომ ბუდე წარმოადგენს გორაქს უსწორ მასწორო კონუსის ფორმისას, თავით რგვალ გუმბათსავით.

გარეგანი მხარეები გუმბათისა ადგილ ადგილ ამობურ-ცულაა.

რომ მივიღოთ მხედველობაში აშენებლის ტანი, და უდიდესი შენობაც აშენებული აღაშიანის ხელით, უნდა თვი შეურაცყოფილით ვიგრძნოთ. ქეოპსის პირამიდა, სანამდის არ დაიწყო მისი დაფარვა უდაბნოს სილით, იყო 146 მეტრი 20 სანტ. მაშასაღამე ის იყო 91-ჯერ უმაღლესი აღაშიანზე, თუ უკანასკნელის სიმაღლეს ხაშუალოთ მივიღებთ 1 მეტრს. 60 სანტ. ტერმიტების ანაშენები კი 1000 ჯერ მეტია მათი ტანის სიგრძეზე. ამ გვარათ, პროპორციის მიხედვით, ტერმიტის ბუდე თერთმეტჯერ უმაღლესია ჩვენ უმაღლეს შენობაზე. რომ შეედაროს მას ქეოპსის პირამიდა, უნდა იყოს სიმაღლით 1600 მეტრი.

ტერმიტის ბუდეს აქვთ: მაგარი კედლები, მაგარი, როგორც ავური. სიგანით 60-80 სანტიმეტრამდე. კედლებში გაკეთებულია ცილინდრიული ტალანები. რაც უფრო უახლოვდებიან, საფუძველს, მით უფრო ვარივრდება ეს ტალანები, განი მათი უდრის აქ 35 სანტიმეტრს. ჩაღრმავებულია მიწაში ერთ ნახევარ მეტრზე. ეს ტალანები ერთ და იმავე დროს მაღაროებიც არის, რადგანაც აქედან იღებს ტერმიტი ასაშენებელ მასალას და წყალსადენი მილებიც. წყალდიდობის დროს ამ მილებით გადის წყოლი და მიღის შორს, სიღრმეში. ამითი შორდება წყალი ტერმიტებით დასხლებულ ადგილებს.

სხვა ტალანები გადახლართულია ყველა მიმართულებით და შედის კაშეებში. ეს არის გზები მუშებისათვის, რომელიც ქვაზე მუშაობენ. მაგრამ ეს არის ჯერ ტერმიტების ჭალაქი. ეს არის მხოლოთ გაღივანი ჭალაქისა. გუმბათის ქვეშ არის დიდი ცალიერი ადგილი. ამას უკავია სიგანით მთელი გორაკი, სიმაღლით მისი მესამედი. იატაკი ამ ცალიერი ადგილისა სწორია. აქ შემოდის რამოდენიმე ტალანი, დანარჩენი შეჩრებულია სხვა და სხვა სიმაღლეზე, და აკეთებს თითქო მოაჯირებს. ეს ცალიერი ადგილი არის პაე-



რისათვის. ამის გამო ბუდეში ჰაერი ყოველთვის ერთნაირია, გარეთ კი დღითი ძლიერ ცხელა, ღამე კი გრილა.

ერთგვარი ტემპერატურა ჰაერისა კარგათ ინახავს კვერცხებს.

ბუდეში იმყოფება „სასახლე მეფებისა“ ეს არის მოგრძო ოთახი: ჰერი აქვს თაღსავით. ძველ ბუდეებში

ასეთი ოთახი სიგრძით 25 სანტიმეტრამდეა. კედლები ძლიერ მაგრებია, მანც ძირს. კედლებშია ფანჯრები და კარები. ამ ოთახის ორგვლივ 34 სანტიმეტრის მანძილზე, გადახლართულია ორვალი და შორიობა ოთახები, თაღებით, რომელნიც უერთდებიან ერთმანეთს. ეს არის ოთახები მუშების და მეოშების, რომელნიც სდარაჯობენ მეფე-დედოფალს. გვერდებზე აგებულია მაღაზიები. ეს ოთახები სავსეა ფისით და მცნობარების წვენით, რომელნიც ისეთ პაწია ნაწილებათ არის გადაქცეული, რომ უმიკროსკოპთ შეუძლებელია გამოცნობა მათი შემდგენლობისა. ამ მაღაზიებთან მიდიან ტალანები და ცალიერი ოთახები.

მეფის და მოსამსახურების ოთახები დაცულია მაგარი თაღით. ზედა ნაწილი ამ თაღისა არის იატაკი დიდი მოედნისა, გორაკის შეზღულ, აქ სდგას მძიმე ბოძები, ერთი შეტრის სიმაღლისა. ეს აღგილი წაგავს სობოროს. ამ ბოძებზეა ოთახები—სადაც იზრდება მომავალი ოთახი ბუდისა.

ეს ოთახები განიჩევა შენობის სხვა ნაწილებისაგან დანიშნულებით და იმითი, როგორ არიან გაექთებული. შენობაში კველგან ნახმარია თიხა; აქაც თიხა ნახმარი, მაგრამ დიდი ოთახები, სადაც კვერცხებია და იჩიცება ეს კვერცხები, დაყოფილია მრავალ პატარ პატარა განყოფილებებათ ეს უკანასკნელები ერთმანეთისაგან დაშორებულია თხელი კედლებით.

ეს კედლები გაექთებულია ხის ნაწილებისაგან, რომლებიც შეერთებულია ფისით. ზოგიერთი ოთახი სიღიღით უდრის ბავშის თავს.

კველა შელესილია თიხით, ჰაერი იწმინდება კარებიდან. კარი გადის ტალანში. რადგანაც ეს ოთახები იმყოფება ცალიერი კამერის და დიდი მოედნის შეზღულ, ამიტომ ტემპერატურა აქ ყოველთვის ერთნაირია და ჰაერიც კარგათ მორიობს.

## ჩვენი ღერამისა.

რა ესაჭიროება მცენარეებს.



ვენ შევიტყეთ კიდევაც როგორ  
გაჩნდა ზეაღაგი, საიდან წარმოსდგა  
იგი. თუ მთესავისაგან მობრული  
თესლი იქ მოხვდა, სადაც ზეაღაგის  
ფენა თხელია, მცენარეს ამოსვლა  
და ზრდა გაუჭირდება. თესლი ხოლმე დაედინება წეიძა, მზე მას  
გააობობს. თესლი გაფულდება, ქვევით მიწაში პაწია ფესვები  
ჩაუშვებს, ზევით კი ამოუშვებს პაწია ფოთლებიან ღეროს.  
მცენარის ფესვი ცდილობს რაც შეიძლება ღრმათ ჩაუშვას  
მიწაში.

მაგრამ სადაც ზედავის ფენა თხელია, ან სულ არ არის, იქ ქორფა მცენარე ვერც კი ხარობს, მაღლე კვდება უსაზრო-ობისა გამო. იქ კი, საცა ზეადავის ფენა სქელია და საკმაოთა აქვს დამპალი — იზრდება დიდი ხეები, მოჰყავთ ყოველგვარი პური, იქ ბლომათ პოულობს საძოვარს საქონელი. არ დაიმ-შევა არც ფრინველი, არც მხეცი: მგელი, ტურა, მელა, ქორი, მიმინო, ალალი და სხვა ცხოველი და ფრინველი. რატომ?

მთებში ზეადაგის ფენა ზოგჯერ ისე თხელია, რომ აქა  
იქ ამოკოფილი იქვს თავი ნიადაგში ჩაფლულ ქვებს. თავის-  
თავიდ ცხადია რომ ამ ქვებზე მცენარეებს არ შეუძლიათ სი-  
ცოცხლე საზრდოს სიმცირის გამო.

მთებში უფრო სქელი ფენა ზეაღაგისა მოიპოვება — კლდების ნაპრალებშია, პატარა მინდვრებზე, ფერლობებ შეა გაშ-

ლილ ვაკეებზე. ამგვარ ადგილებში ეს სწორეთ საუცხოო ტყეები, თვალისოფალის სასიამოენო, ამწვანებულ -- მობიბინე მდელო.

მთების თხემებზე და დაქანებულ უკრძებზე დადგნილი წვიმის წყალი ვერ ჩერდება, სწრაფად ექანება ქვეით და თან ჩააჭვს ზეადაგის ჩამონარეცხი მიწა, რომელიც მოიპოვება მთებსა და გორაკებზე., ამიტომაცა რომ დადგება თუ არა ზაფხული, მცენარეულობა ჰქნება და ხმება, მაგრამ მას მაღლ მოუსწრობს წვიმიანი შემოდგომა და ისევ ყველაფერი ისე ამწვანდება, როგორც გაზაფხულზე.


ვაკე ადგილებში, მცენარეულობა ღრმათ უშვებს: თავის ძირ-ფესვებს; თვით ზეადაგი სქელია, იმიტომ რომ წვიმია და თოვლის ნაღნობი პაწია ნაკადულები მას ვერაფერს დააყრდებენ, ვერ ჩამორეცხენ, რადგანაც ის დაქანებული არ არის არც ერთი მხრით:

წყალი მცენარეებს გაცილებით მეტათ ესაჭიროებათ, ვი-ღრე ზეადაგი, მაგალითად წარმოვიდგინოთ, რომ ზეადაგი ძალიან ნაკლებათა აქვს სასუქი; ზოგიერთი მცენარეები მასში შეინკრინირება — ახერხებენ სიცოცხლეს, მარა აბა ნახეთ მაშინ, როცა აკლია წყალი — ისინი აუცილებლათ ილუპებიან, ხმებიან. სუადეთ რა დაემართება თქვენ ყვავილებს, რომლებიც გიდგიათ ფანჯრებზე თუ რომ მათ წყალი არ დაასხით — რამოდენიმე დღის შემდეგ თქვენ დაინახავთ მათ მოწყენილ, დამჭვნარ და ბოლოს გამხმარ ფოთლებს.

გინახავთ უთუოდ გაყვითლებული და გამხმარი ბალახები და ყვავილები ცხელ ზაფხულში. ეს ხდება წყლის ნაკლებობით, ხომ კარგათ იცით რომ მცენარეებს არა აქვს კბილები რომ დახრას კლდეები, არა აქვთ პირი და ყელი რომ ყლაპოს მიწა და კლდის ნამტვრევები. მათ შეუძლიათ მხოლოდ შეისუტონ მიწიდან თავიანთი ფესვებით წყალი, რომელიც შექვებულია მათი მასაზრდოებელი რამებით. მცენარე თოთონიაც კი გამოიდენს ფესვებიდან სხვადა-სხვა სითხეებს, რომლებითაც ისინი ჩასჭამენ და დააღნობენ ყოველივე მაგარ ნიგაზიერებას, რაც მათ ჰხვდებათ. მაგრამ იმისთვის, რომ მცენარეში შემზადდეს ეს თხელი ნივთიერებანი — საჭიროა წყალი;

ამიტომაც აა, რომ გოლვიან ზაფხულში მცენარეები იღუპებიან, ვერ საზრდოობენ.

დედა-მიწაზე არის ისეთი ადგილები, საცა ან სულ არ არის წყალი, ან და სულ ცოტაა. ასეთ ადგილებს ეწოდება უდაბნო. ამ უდაბნოებში, ან სულ არ არის მცენარეულობა, ან თუ არის — ძალიან ცოტა.



უდაბნოებში არ არის წყალი, ამიტომაც იქ არის არაეითა-  
რი სიცოცხლე: არ არის მცენარეულობა, არც ცხოველები და არც  
ხალხი. კაცი იქ მაშინ თუ გაივლის მხოლოდ, როცა ესაჭიროება  
ერთი ადგილიდან-მეორეზე... გადასვლა:

თუ უდაბნოში ზეხვათ მოვიდა წვიმა — მაშინ ეს უნაყოფო  
ქორშა და: თიხაც კი მალე შეიმოსება მწვანით. როგორც ხე-

დავთ მცენარეულობას შესძლებია სიცოცხლე ძალიან მწირ მიწაზედაც კი, თუ, რასაკირველია, მას აქვს საკმაო სინოტო-  
ჟე, წყალი. არის ისეთი მცენარეებიც, რომელნიც ხარობენ  
ხარტო ქვიშრნარზედაც კი თუ მას, რასაკირველია, არ მთა-  
კლდება წყალი.

მცენარეს, გარდა შესაფერი ზეადაგის და წყალისა, მიუ-  
ცილებლათ ესაჭიროება სინათლე— მხის მაცოცხლებელი ძალა.  
გინახავთ უთუოდ საღმე ნოტიო ადგილში— სარდაფში ამოსუ-  
ლი კარტოფილი. მისი ღერო, თუ დაპკირვებიხართ, უფე-  
რული, მაღალი და სუსტია: თუ როგორმე ამ სარდაფში, სად-  
მე ჭუჭრუტანაში შეაშექა მზემ, აბა მაშინ ნახეთ ეს მცენარე;  
ის უთუოდ გადიხება იქით, საიდანაც აშუქებს სინათლე და  
იმდენს ეცდება, მანამ შიგ არ გაჰყოფს თავს და არ გავა გა-  
რეთ, სადაც მას დაპხვდება უხვად მზის სხივები: ის იქ ისე  
უფერული და სუსტი როდილა იქნება, როგორც სარდაფში—  
ის მაღალების სასიამოვნო მწვანე ფერს და გამაგრდება  
ისე, როგორც ყოველი მთელი მცენარე.

გაზაფხულზე, ზაფხულზე და შემოდგომაზე მცენარეები  
მუდამ ხარობენ, საზრდოობენ, მუშაობენ. სულ სხვას ვამჩნევთ  
მათ ზამთარში: ზამთარში ისინი თითქა იძინებენ, აღარაფერს  
მუშაობენ. იქდან ცხადია, რომ მცენარეებს გარდა მზისა,  
წყალისა და ზეადაგისა კიდევ სჭირდებათ რაღაცა. მათ ესაჭი-  
როებათ თბილი დღეები; ამ თბილ დღეებსაა მოკლებული  
ზამთარში მცენარეები და იმიტომაცა შეჩერებული მათი  
ზრდა.

უნდა გახსოვდეთ რომ უსითბოთ არაფერი თესლი არას  
დროს არ ამოკუნდება სიცივესა და ყინვებში, რაც უნდა ბევრი სი-  
ნოტივე ჰქონდეს ზეადაგს, თესლისაგან მცენარე მიინცარ ამოვა—  
მაშინ, როდესაც თუ დაცხუნა მზემ, მაღალ გათხება თესლის გა-  
რშემო არე-მარე და მაღალ თავს ამოჰყოფს გაღოღოვებული  
თესლისაგან ამონახეთქი პაწია მცენარე.

**კითხვები, დაკვირვებანი და საცდელი სამუშაო.**

რი ეჭირვება: მცენარეს სიცოცხლისათვის?

რატომა ზეადაგის ფერს ვაშემი უვრც სჭელი და მთას კა-

## ჩვენი დედამიწა.

თუ უკად კი თხელი? რათ უნდა მცენარეს ფეხები?

წერის რომ არ მფადექს, რა დაქმართებდა იმ ადგილებს, სა-  
ცა ჩვენ ვცხოვდოთ?

საცდელათ აიღეთ თეფში. დასხით ზედ წყალი, შიგ  
ჩაუშვით ორი მოგრძო ნაფოტი, ჩასდეთ მათ შეა რამოდენიმე  
ცერცვის თესლი, უცვალეთ წყალი სამ-ოთხ დღეში ერთხელ,  
რომ არ დალპეს თესლი აშმორებული წყლისაგან და დააკ-  
ვირდით, როგორ ამოვა ამ თესლისაგან ცერცვი და ან შემ-  
დეგ რა მოუვა.

მიამბეთ რა გაგიგონიათ უდაბნოებზე?


### წლის დრონი.

სისხამ დილაზე შემოიჭრიტი შზემ ჩვენს საწოლ ოთახ-  
ში და სწრაფათ სუყველას თვალები გაგვაჭეტინა. მან გაცი-  
ლებით აღრე, რასაკვირველია, გააღვიძა და ააჟივეივა მუღამ  
მცმუკავი, მხიარული ფრინველები, მოშრიალე ტყეები და  
მობიბინე მინდოორ-ველები.

შე ჩვენ გვაძლევს დღის სინათლეს და ამითაა კიდეც  
რომ აძლევს სიცოცხლეს მთელ ქვეყნიერებას, ათბობს დედა-  
მიწას—რის წყალობითაც, გარდა იმისა რომ სცოცხლობს  
ყოველი სულდგმული, ასაზრდოებს კიდეც და ახარებს ყო-  
ველგვარ მცენარეულობას, ჩავ შე თუ არა-ლამდება, წყვდი-  
ადით მოიცობა ყველაფერი; მაშინ მოსვენებულია ყოველი  
სულდგმული მეორე დღის შეის ამობრწყინებამდინ.

შე ზაფხულში უფრო მაღლიდან დაგვყურებს, ვიდრე  
ზამთარში და რაც უფრო მაღლიდან დაგვცერის და დიდ-  
ხანს რჩება ცაზე, მით უფრო მაღე ათბობს დედა-მიწას.  
ამიტომაცა რომ ზაფხულში ძალზე ცხელა. ვცადოთ ასე:  
ჩასვეთ ჯოხი მიწაში და დაუკირდით დღის განმავლობაში  
რა დროს როგორი ჩრდილი გაწვება მიწაზე ამ ჯოხიდან.  
თქვენ დაინახათ რომ ჩრდილი უფრო გრძელი იქნება დი-  
ლის და სალამოს. შეადღეზე კი, ოუცა შე ყოველ დროზე  
უფრო მაღლაა ცაზე, მაშინ ჯოხის ჩრდილი იქნება მოკლე.  
ზაფხულის დღეებში, შეადღისას შე ჩვენ დაგვცერის  
თავზე, უხვათ გვიგზავნის თავის სხივებს და აკი ამიტომაცა  
რომ განსაკუთრებით ცხელა კიდეც. თუ ამ დროს დავხედავთ

ჩვენ ჯოხს, ის გვაჩვენებს რომ მისი ჩრდილი ეხლა უფრო მოკლეა, ვიდრე ეს იყო დიღასა და სალამოს, ზამთარში კი



### ზაფხული ტყეში.

შუადღისას მზე უფრო დაბლა და თუ დავაკვირდებით ამავე ჩრდილს, გავზომავთ და შევადარებთ ზაფხულისას, დავინახავთ რომ ის გაცილებით გრძელია.

ზაფხულის დღეები გრძელიცაა და ცხელიც. ხშირათ ისე ცხელა რომ საქონელიც ცდილობს რომ ჩრდილს შეაფაროს თავი და ფრინველებიც იღარ გალობენ თავის მხიარულ საგალობელს, ასე გასინჯეთ მოუსვენარსა და ცელქ ბაშვებსაც კი ეკარგებათ ხალისი თამაშისა, აღარ გამოდიან გარეთ.

გაივლის რამოდენიმე კვირა და შეამჩნევთ რომ ისე აღარა ცხელა, მზე ისე მაღლა არ აღის ცაში, როგორც ზაფხულში, გლეხობა მოწეულ პურს ინახავს. ბაღებში იკრიფება ხილი საზამთროთ. დგება შემოდგომა. ხეებს ფოთლები უყვითლდება და სცვივა, შემოდგომის ქარი ხშირათ წამოუბერავს, აიტაცებს ჰაერში მათ, დაატრიალებს, შემდეგ მიახვეტს სადმე და გროვა-გროვათ დასდგამს. ჰაერი საგრძნობლათ გრილდება, ლაშე კიდევაც ცივა. ხშირათ ცას ეკვრის ჯანლი, სცრის კიდეც, დგება ტალახი და მასში გუბეები. მაშინ თუ მივხე-

დავთ ჩვენი ჯოხის, ჩრდილს, დავინახავთ რომ, ის დღითი-დღე  
გრძელდება.

აი მოვიდა ზამთარი. ხეები შიშვლდება. ისე მიწუნარდა:



და მოჩუმდა ყველაფერი, თითქო ყველას სძინავსო. მინ-  
დორ-ველი თოვლით დაიფარა, მდინარეებს გადაეფარა ყინუ-  
ლი. ხალხმა თბილათ ჩაიცავ და მეტათ ბეჯითათ ახურებს  
ბუხრებსა და ლუმელებს, რომ სახლებში დათბეს. მზე გვიან  
ამოდის! დიღხანს არ რჩება ცაჲე და აღრე ჩაღის, აღრეც  
ლამდება.

ზამთრის შემდეგ დგება გაზაფხული—სიტურჭითა და  
შშვენებრთ აღსავსე. მზე აღრე ამოდის, დიღხანს რჩება ცაჲე,  
შუადღეზე გაცილებით მაღლა იწევს, ვიდრე ზამთარში და  
გვიან ჩაღის. დღეები დათბა. მხეცებმა გამოიღვიძეს და გამო-  
ვიდენ თავიანთ ბუნაგ-სოროებიდან. ხეები და ბუჩქნა-  
რები გაფუტჩხნენ ფოთლებითა და ყვავილებით. შორეულ  
თბილ ქვეყნებში გადაკარგული ფრინველები ისევ დაგვიძ-  
რუნდენ, ჩაებენ მთელი ბუნების მხიარულ ფერზულში და



მორთეს კიკი-გალობა. გამოვიდენ შეკრებიც, რომელთაც  
საზამთროთ თავი შეფარებული ჰქონდათ ზოგს საღმე ქვის  
ქვეშ, ზოგს ხელში და ზოგსაც ნაპრალებში.

ყოველ წელიწადს ხდება ოთხი ამგვარი ცვლილება, რაიც შეადგენს წლის „ოთხ დროს“: ზამთარს, გაზაფხულს, ზაფხულს და შემოდგომას. გასული დრო ერთი ზამთრიდან შემორემდინ შეადგენს წელიწადს.

ყოველ დროს მოჰყვება თავ-თავისი სიმშვენიერე და სი-  
ტურფე, სხვა და სხვა გვარი სიამოვნება: ხანდისხან ისიც კი  
გვასიამოვნებს, ომ ყველა დღეები ერთვარი არ არის, შე-  
გვიძლია ზოგჯერ ვიბანაოთ მდინარის ცივ, ან კარა წყალში,  
ვიცურაოთ ყინულზე კოხტა-კოპწია წრიაპებით, ხან თვალს  
ვასიამოვნოთ გაზაფხულის პირველი ყვავილების დანახვით,  
ხან პირი ჩავიტკებარუნოთ მწიფე მსხალითა და ვაშლით.

კითხვები, დაკვირვებანი და საცდელი სამუშაო.

၁၇၂၄၈ ပုဂ္ဂနိုင်တ ၈၈၆ စာရွှေ့ ပုဂ္ဂနိုင်၏

ଏହା ଶ୍ରୀନାଥଙ୍କଠିର କରମ ଦେଖିବା ଶ୍ରୀମତ୍ତବମା?

କରୁଣାର ମନ୍ଦିରର ତଥାପିଲାଙ୍ଘା?

ବ୍ୟାକିରଣ କରିବାକୁ ପାଇଁ ଏହାକିମ୍ବାନୀ ଦେଖିଲୁଛାନ୍ତି

କୌଣସି ଏହିର ପାଇଁ କିମ୍ବାକିମ୍ବା ଲାଗୁଥିଲା?

რათ აცილება როცა ჩავს მზე?

ରୁକ୍ଷଗର ପଦନାତ, ଫ୍ରାଙ୍କ ରମ୍ଜେଲ ଫର୍କ୍ରିସ ପ୍ରଫର୍ମ ଡାମ୍ପିଳ୍ଜେବ୍ର-  
ଫର ମିଶରଣ ଫ୍ରାଙ୍କାମିହା?

წლის ოქმელი ღრღ უფრო დიდხანს დგას ჩვენში? ოქმელი  
საკუთხებს? მიჩვენეთ რომელი მხრიდან ამოდის მზე, შეაღდეზე-  
სადა, სათ ჩადის და სათ არასოდეს არ არის? რა ჭიშია ამ მხა-  
რების?

კოველთვის ერთსა და იმავე ადგილს ამოდის მზე? დაიხსო-  
მეთ რომელ საათზე ამონდ და ჩავა ხალ მზე და რომელი მხრით?

თუ ჰირი ჩრდილოეთსკენ მიიბრუნეთ, მაშინ რა აქვთა ზურგს  
უკან? მარჯვენათ? მარცხნით?

(ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ପ୍ରକାଶକା.)

ელ. ჭიჭინაძე

କ୍ରୂଣ୍ଡି ୨ ଫ୍ଲେବିସ

ପ୍ରମାଣାଲୀ

୧୨

୧

— — —

୧୨

— — —

୧

୧୩

୧୨୦୫୦୦ ରୁହାକ୍ଷେତ୍ରାଶୀ  
୪୦ ମ. ଫୋଲକ୍କ ତତତ  
ଫ୍ଲେବିସ ୫ ମାନ.

୧

1918 წ.



გვარალეგი საყაზვილო ნახატ. ურნალი

# კოკილი

ჭეკოლი დარსებულია 1890 წელს.

გამოვა თვეში ერთხელ, ქურნალში თორ განვითი  
ლებაა, პატარებისათვის და მოზრდისათვის.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში ქ. შ. წ. კ. საზოგა-  
დოების მაღაზიაში და თვით ჯეჯილის რედაქტურაში, არტი-  
ლერიის ქუჩა, № 5.

**ურნალი** წლიურათ ღირს 20 მან. ნახევარი  
წლით 11 მან. ფალკე ნომერი—2 მან. განახლებულ  
**ურნალი** მონაწილეობას იღებენ საუკეთესო  
მაღაზები.

ხელმძღვანელთა ახლათ შემდგარი კომისია (ქრ. შარაში-  
ძე, ალ. ფალკა. ან. ხახუტაშვილი (ცქვიტი) და ნ. ჩაგუნავა—  
გელაშვილი). შეეცდება უურნალის ნორჩ მკითხველებს მიაწო-  
დოს საღი გონებრივი საზრდო.

ფოსტის აღრესი: თბილისი, საყმაწვილო უურნალი „ჯეჯილის“  
რედაქტირა.

რედაქტორ—გამომცემელი ან. წერეთლისა.